ლიბერთი

ბანკი ყველგან და ყველასთვის

# სოციალური სარგოს მიმღები პირის საბანკო ანგარიშის მომსახურების პირობები

შინაარსი

ნაწილი I - შესავალი ..... 3
ტერმინთა განმარტებები ..... 3
განცხადებები და გარანტიები ..... 5
მომსახურების ძირითადი პირობები ..... 5
ნაწილი II - პროდუქტები ..... 6
საბანკო ანგარიში ..... 6
ბარათი ..... 6
მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისი (SMS ბანკი) ..... 8
ფიზიკური პირების ინტერნეტბანკინგი ..... 8
ავტომატური გადარიცხვები ..... 9
სოციალურ ავანსებთან დაკავშირებული მომსახურება ..... 9
ჩარიცხვამდე პენსიის მიღების მომსახურება ..... 10
ოვერდრაფტთან და კრედიტთან დაკავშირებული მომსახურება ..... 10
ნაწილი III - ზოგადი დებულებები ..... 12
მომსახურების ტარიფები ..... 12
დავალების მიღების და შესრულების ვადები ..... 12
მხარეთა პასუხისმგებლობა ..... 12
პასუხისმგებლობის შეზღუდვა ..... 13
გადასახადები ..... 13
ხელშეკრულების ცვლილება ..... 13
ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა ..... 13
მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა ..... 14
კომუნიკაცია ..... 15
კონფიდენციალური ინფორმაცია და პერსონალური მონაცემები ..... 15
დასკვნითი დებულებები ..... 18
დანართი № 1 - მომსახურების ტარიფები ..... 20
დანართი №2 - პენსია ჩარიცხვამდე მომსახურებით სარგებლობის თარიღები ..... 23
დანართი №3 - საგადახდო დავალების მიღების და შესრულების ვადები ..... 24

## ნაწილი I - შესავალი

### 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი (**პირობების**) კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. **სოციალური სარგო** ან **სოციალური გასაცემელი** - უფლებამოსილი **პირების** მიერ **კლიენტის საბანკო ანგარიშზე** ჩარიცხული ფულადი სახსრები, მათ შორის სახელმწიფო პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა ან/და სხვა სახის სოციალური გასაცემელი;

1.1.2. **ავანსი** ან **სოციალური ავანსი** - **განაცხადის** საფუძველზე, **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** კრედიტის სახით გაცემული თანხა, რის შედეგადაც **კლიენტი** იღებს ვალდებულებას **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობებით და ვადაში დაფაროს აღნიშნული თანხა და **ავანსთან** დაკავშირებული საკომისიოები და სხვა გადასახდელები;

1.1.3. **ოვერდრაფტის საშეღავათო პერიოდი** ან **კრედიტის საშეღავათო პერიოდი** - **ოვერდრაფტის** ან **კრედიტის** მოქმედების ვადის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც არ ხდება **ოვერდრაფტით** ან **კრედიტით** გათვალისწინებული ყოველთვიური დასაფარი თანხის ან თანხის ნაწილის გადახდა. თუ **მხარეები** სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, **საშეღავათო პერიოდის** განმავლობაში **ოვერდრაფტის საკრედიტო ლიმიტიდან** ათვისებულ თანხას ან **კრედიტს** ერიცხება **პროცენტი**

1.1.4. **სოციალური ავანსის დაფარვის თარიღი** ან **კრედიტის დაფარვის თარიღი** ან **ოვერდრაფტის დაფარვის თარიღი** ან **ავანსის დაფარვის თარიღი** - თვის კალენდარული რიცხვი, რომელშიც ხდება **კლიენტის** მიერ მიღებული **ავანსის/კრედიტის/ოვერდრაფტის** ყოველთვიური დაფარვა. **კლიენტის** მიერ მიღებული **ავანსის/კრედიტის/ოვერდრაფტის დაფარვის თარიღი** არის დამოკიდებული იმ **სოციალურ გასაცემელზე**, რომლის ფარგლებშიც მოხდა **ავანსის/კრედიტის/ოვერდრაფტის** გაცემა და ხორციელდება **კლიენტის** შესაბამისი **სოციალური გასაცემლის** ჩარიცხვის დღეს. იმ შემთხვევაში, თუ **ავანსის/კრედიტის/ოვერდრაფტის დაფარვის თარიღი** ემთხვევა შაბათს, კვირას ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ არასამუშაო დღეს, ის (**ავანსის/კრედიტის/ოვერდრაფტის დაფარვის თარიღი**) ავტომატურად გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღემდე.

1.1.5. **სოციალური ავანსის ხელშეკრულება** - **ბანკსა** და **კლიენტს** შორის მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით დადებული კრედიტის ხელშეკრულება, რომელიც შედგება (i) **განაცხადის,** (ii) ელექტრონული ან მატერიალური სახით დადებული სოციალური დახმარების ან/და სახელმწიფო პენსიის ავანსის ხელშეკრულების და (iii) წინამდებარე პირობებისაგან;

1.1.6. **ამონაწერი** - **ბანკში** დადგენილი ფორმით შედგენილი ინფორმაცია, **კლიენტის საბანკო ანგარიშზე** განხორციელებული ოპერაციებისა და ნაშთების შესახებ;

1.1.7. **ანგარიშის საკრედიტო ლიმიტი** ან **საკრედიტო ლიმიტი** - **კლიენტის საბანკო ანგარიშზე ბანკის** მიერ დაშვებული თანხობრივი ლიმიტი, რომელიც ხელმისაწვდომია **კლიენტის** განკარგვისათვის **ოვერდრაფტის** ფარგლებში;

1.1.8. **არასანქცირებული სადებეტო ნაშთი** ან **ოვერლიმიტი** ან **თანხის გადახარჯვა** - **კლიენტის ანგარიშზე** რიცხული სადებეტო ნაშთი, რომელიც წარმოიშვა **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე. **ოვერლიმიტის** მაგალითები შეიძლება იყოს: (ა) **ანგარიშზე** ირიცხება სადებეტო ნაშთი, რომელიც აღემატება **ხელშეკრულებით** დადგენილი **ოვერდრაფტის** საკრედიტო ლიმიტის მოცულობას; (ბ) **ანგარიშზე** ირიცხება სადებეტო ნაშთი **ოვერდრაფტის** საკრედიტო ლიმიტის არ არსებობის პირობებში; (გ) **ოვერდრაფტის** გაუქმების (მათ შორის **ბანკის** მიერ ცალმხრივად) შედეგად **ანგარიშზე** წარმოქმნა სადებეტო ნაშთი, რომელიც მათ შორის მოიცავს **ოვერდრაფტის** გაუქმებამდე ათვისებული **ოვერდრაფტის** საკრედიტო ლიმიტს ან მის ნაწილს; (დ) წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული სხვა შემთხვევა. **ოვერლიმიტი** თავისი ეკონომიკური შინაარსით კრედიტზე ვადაგადაცილებული დავალიანების წარმოშობის ტოლფასია და შესაბამისად, **ბანკს** აქვს უფლება **ოვერლიმიტზე** დაარიცხოს **პირგასამტეხლო კანონმდებლობით** გათვალისწინებულ ფარგლებში და ოდენობით;

1.1.9. **აფილირებული პირ(ებ)ი** - **ბანკთან** დაკავშირებული **პირ(ებ)ი**, რომ(ე)ლ(ებ)იც პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლდება **ბანკის** მიერ ან/და რომლის/რომელთა საშუალებითაც **ბანკი** ახორციელებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მომსახურებას;

1.1.10. **ბანკი** - სს “ლიბერთი ბანკი” (რეგისტრაციის თარიღი: 27 მარტი, 1995 წელი, საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304, საბანკო ლიცენზია: № 0110247, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი 0162, ი. ჭავჭავაძის № 74; ტელ: 255 55 00; ფაქსი: 255 55 04; ელ-ფოსტა: info@libertybank.ge), რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

1.1.11. **ბანკომატი** - თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ–ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც **კლიენტს**, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს **ბანკის ბარათის** მფლობელს, შეუძლია ნაღდი ფულის გამოტანა/შეტანა, **საბანკო ანგარიშზე** არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, **დავალების** გაცემა და სხვა; ხოლო **ბანკის** მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში **პირობებში** აღწერილი **პროდუქტებით** ან/და **ბანკში** არსებული სხვა **პროდუქტებით**/მომსახურებით სარგებლობაზე **განაცხადის** წარდგენა და აღნიშნული **განაცხადის ბანკის** მხრიდან დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაბამისი პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობა;

1.1.12. **ბანკომატიდან თანხის განაღდების ლიმიტი - ბანკომატიდან** 24 საათის განმავლობაში გასანაღდებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა;

1.1.13. **ბანკომატის მეშვეობით ანგარიშზე თანხის შეტანის ლიმიტი – ბანკის** შესაბამისი ფუნქციონალით აღჭურვილი **ბანკომატის** მეშვეობით გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაშვებითანხის შეტანის მაქსიმალური ოდენობა.

1.1.14. **ბარათი ან საბანკო ბარათი ან სოციალური ბარათი** - **ბანკის** მიერ ემიტირებული ძირითადი ან/და დამატებითი ლოკალური ან საერთაშორისო საბანკო ბარათი (VISA, MasterCard, Sმარტივი ან სხვა) - საგადამხდელო საშუალება, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტის საბანკო ანგარიშთან** და რომელსაც **კლიენტი** იყენებს **ბანკში** შესაბამისი დროისთვის მოქმედი ბარათების გამოყენების ზოგადი წესების შესაბამისად, **ბარათი** შესაძლოა იყოს პერსონიფიცირებული ან არაპერსონიფიცირებული, **ბანკის** შეხედულებისამებრ, აღჭურვილი ჩიპით, მაგნიტური ზოლით ან/და უკონტაქტო გადახდის ფუნქციით,

1.1.15. **განაცხადი** - **ბანკის** მიერ მატერიალური დოკუმენტის, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის, მათ შორის **მომსახურების ობიექტ(ებ)ის** ან/და **ბანკომატის** ან სხვა **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხების**,** გამოყენებით შექმნილი და **კლიენტისთვის** მიწოდებული წერილობითი ინფორმაცია, რომელსაც **კლიენტი** ეთანხმება ხელმოწერით ან/და ელექტრონული ფორმის დადასტურებით (ელექტრონული თანხმობა), რაც ითვლება **კლიენტის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. **განაცხადი** თან ერთვის **ხელშეკრულებას** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.1.16. **განცხადებები და გარანტიები - პირობების** მე-2 მუხლში მოცემული **კლიენტის** განცხადებები და გარანტიები;

1.1.17. **დავალება** - ნებისმიერი მოთხოვნა ან დავალება, რომელსაც **კლიენტი** აძლევს **ბანკს** უშუალოდ ან/და **დისტანციური საბანკო მომსახურების** გამოყენებით, **წვდომის კოდ(ებ)ის** საშუალებით **ბანკში** გამოგზავნის გზით;

1.1.18. **ვერიფიცირებული ნომერი – კლიენტის** მიერ შესაბამის განაცხადში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც ვერიფიკაციას გადის **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად და **ბანკის** მიერ საკუთარი (**ბანკის)** შეხედულებისამებრ გამოიყენება **კლიენტთან** კომუნიკაციისას. **ვერიფიცირებულ ნომერზე** გაგზავნილი/**ვერიფიცირებული ნომრიდან** მიღებული შეტყობინება ან/და **ვერიფიცირებული ნომრიდან** გაცხადებული ნებისმიერი თანხმობა ჩაითვლება **კლიენტის** მიერ ნამდვილ შეტყობინებად/შეთავაზებად/თანხმობად.

1.1.19. **ძირითადი ბარათი** - **ბარათი**, რომელსაც **ბანკი** გასცემს უშუალოდ **კლიენტზე** და რომელიც დაკავშირებულია **კლიენტის საბანკო ანგარიშთან**;

1.1.20. **უკონტაქტო ბარათი - ბარათი,** რომელიც წარმოადგენს ჩიპიანი **საბანკო ბარათის** ნაირსახეობას და რომელიც **კლიენტს** აძლევს საშუალებას საერთაშორისო საგადახდო სისტემების (Visa inc. MasterCard Europe ან/და სხვა) ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, უკონტაქტოდ ანუ **ბარათით** საგადახდო **ოპერაციის** შესრულებისას **წვდომის კოდის** შეყვანის გარეშე, აწარმოოს **ოპერაციები** შესაბამისი სერვისის გაწევაზე ავტორიზირებულ და სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ მომსახურების ობიექტებში;

1.1.21. **დამატებითი ბარათი - ბარათი**, რომელსაც **ბანკი** გასცემს **კლიენტზე** ან/და **კლიენტის** მიერ დასახელებულ სხვა ფიზიკურ პირზე (დამატებითი ბარათის მფლობელი) და რომელიც, მიუხედავად თავისი მფლობელისა, დაკავშირებულია **კლიენტის საბანკო ანგარიშთან**;

1.1.22. **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი** - პირი, რომლის სახელზეც, **კლიენტის** მოთხოვნით, არის გაცემული **დამატებითი ბარათი**;

1.1.23. **დანართი - ბანკის** მიერ განსაზღვრული, **კლიენტის** მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტები, რომელიც აზუსტებს, ცვლის ან/და წყვეტს **ხელშეკრულებას** ან/და მის პირობებს და წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს;

1.1.24. **დისტანციური საბანკო მომსახურება** ან **დისტანციური საბანკო მომსახურების არხი** - საბანკო მომსახურება, მათ შორის **ბანკის** ელექტრონული არხები, რომლის გამოყენებითაც **კლიენტს** ეძლევა საშუალება მიიღოს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მომსახურება, წარადგინოს **განაცხადი,** დაეთანხმოს **ხელშეკრულების თავსართს,** ასევე, აწარმოოს საბანკო ოპერაციები ან მიიღოს მის **საბანკო ანგარიშთან** დაკავშირებული ინფორმაცია **ბანკში** მიუსვლელად;

1.1.25. **პენსია ჩარიცხვამდე** ან **პენსია ჩარიცხვამდე მომსახურება** ან **ჩარიცხვამდე პენსიის მიღების მომსახურება - კლიენტის** მოთხოვნით, **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** შეთავაზებული სასყიდლიანი მომსახურება, რომლით სარგებლობის შედეგადაც, **კლიენტი** წინასწარ (სახელმწიფოს მხრიდან თანხის ჩარიცხვამდე) იღებს თავის კუთვნილ პენსიას და უზრუნველყოფს აღნიშნული მომსახურებით სარგებლობის შედეგად **ბანკის** წინაშე წარმოშობილი დავალიანების დაფარვას სახელმწიფოს მხრიდან პენსიის **ანგარიშზე** ჩარიცხვისთანავე ან საკუთარი სახსრებით იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით **კლიენტს** პენსია სახელმწიფოს მხრიდან არ ჩაერიცხა;

1.1.26. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ

აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;

1.1.27. **კლიენტი** - **სოციალური გასაცემლის** მიმღები ფიზიკური პირი, რომლის სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო მონაცემები მოცემულია **განაცხადში**, რომლის სახელზეც, **ბანკის** თანხმობით, იხსნება **საბანკო ანგარიში** და რომელიც **განაცხადის** საფუძველზე სარგებლობს **პირობებით** განსაზღვრული **პროდუქტებით**;

1.1.28. **კონფიდენციალური ინფორმაცია** - თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** ხელმოწერის ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი **მხარის** მიერ მეორე **მხარის** შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია **მხარის** პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, **მხარის** მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული **პირ(ებ)ის**, მესამე პირ(ებ)თან არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

1.1.29. **მესამე პირ(ებ)ი** - პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნისთვის, **ბანკის** მშობელი ან/და შვილობილი საწარმო, მისი აფილირებული ან/და ჯგუფის წევრი პირები, **ბანკის** კონტრაქტორები, მიმწოდებლები, პროვაიდერები ან/და სხვა პირები, რომლებიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის საფუძველზე ახორციელებენ ბანკისაგან მიღებული პერსონალური მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის დამუშავებას (**ბანკის** სახელითა და მიზნებისთვის, როგორც მისი უფლებამოსილი პირები, ასევე საკუთარი სახელითა და მიზნებისთვის - დამოუკიდებლად) ან/და **ბანკისთვის** მათი ან/და **ბანკის** კლიენტების შესახებ პერსონალური მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის მიწოდებას. მესამე პირ(ებ)ის კატეგორიები განსაზღვრულია წინამდებარე **პირობებით;**

1.1.30. **მომსახურების ობიექტ(ებ)ი** - **ბანკის** ფილიალი, სერვის ცენტრი ან **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფიზიკური ობიექტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია **ბანკში** მატერიალური **განაცხადის** წარდგენა და **ხელშეკრულების** დადება;

1.1.31. **მხარე** ან **მხარეები** - **ბანკი** ან/და **კლიენტი**, ხოლო **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ შემთხვევებში **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი**, კონტექსტის შესაბამისად;

1.1.32. **ოპერაცია** - **კლიენტის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი გადახდა ან განაღდება **ბარათის**, **ბარათის** ნომრის, PIN კოდის, **წვდომის კოდების** ან სხვა საშუალებ(ებ)ის გამოყენებით;

1.1.33. **პერსონალური მონაცემები** - განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და გულისხმობს ნებისმიერი ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს;

1.1.34. **პირგასამტეხლო (ჯარიმა) – ხელშეკრულებით** განსაზღვრული ფულადი თანხა, რომლის გადახდის ვალდებულებაც შესაბამის **მხარეს** წარმოეშვება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შედეგად;

1.1.35. **პირი** ან **პირები** - ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ი ან/და **კანონმდებლობის** საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული/არარეგისტრირებული წარმონაქმნ(ებ)ი;

1.1.36. **პირობები -** წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი **სოციალური სარგოს** მიმღები პირის საბანკო ანგარიშის მომსახურების სტანდარტული პირობები, რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე: http://libertybank.ge;

1.1.37. **პროდუქტი** ან **პროდუქტები - ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობების** თანახმად **კლიენტისთვის** შეთავაზებული საცალო საბანკო პროდუქტი/მომსახურება;

1.1.38. **პროცენტი** ან **საპროცენტო განაკვეთი - ხელშეკრულების** საფუძველზე განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის მოცულობა, რომელიც იანგარიშება **კლიენტის** მიერ **ბანკის** საკრედიტო რესურსის (**ოვერდრაფტი, კრედიტი** და სხვა საკრედიტო პროდუქტები ასეთების არსებობის შემთხვევაში) ძირითადი თანხით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთი) კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით. თუ **ბანკი** ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტს ამ **ხელშეკრულებას, პროცენტის** დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება იძულებითი ან **კლიენტის** მიერ ნებაყოფლობითი აღსრულების მომენტისათვის გაანგარიშებული თანხით. **პროცენტი** განსაზღვრულია **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულებით** ან **პირობების #1 დანართით**;

1.1.39. **სააგენტო** ან **დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო -** „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებისათვის შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო;

1.1.40. **საბავშვო ბარათი – სოციალური ბარათი**, რომელზეც უფლებამოსილი **პირის** მიერ ირიცხება **სოციალური გასაცემლის** მიმღები ოჯახის, 16 წლამდე ასაკის წევრისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრები (საარსებო შემწეობა) **კანონმდებლობით** დადგენილი ოდენობით და წესით (ე.წ ბავშვის კვების ბარათი). **საბავშვო ბარათით** სარგებლობის პირობები და ტარიფები განისაზღვრება წინამდებარე **პირობებით**;

1.1.41. **საბანკო ანგარიში** ან **სოციალური ანგარიში** ან **ანგარიში - ბანკში** არსებული ფიზიკური პირის ანგარიში **ლარში**, სადაც აღირიცხება კლიენტის ფულადი სახსრები (მათ შორის და არამარტო **სოციალური გასაცემელი**);

1.1.42. **საბანკო დღე - ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დღის (**ბანკის** მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც **ბანკი** ახორციელებს საბანკო მომსახურებას;

1.1.43. **ოვერდრაფტი** - **ბანკის** საკრედიტო **პროდუქტი**, რომლითაც დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე, **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად, **კლიენტის ანგარიშზე** ხელმისაწვდომია თანხა - **საკრედიტო ლიმიტი**. **საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში **კლიენტის** მიერ **ოვერდრაფტის** თანხით სარგებლობა შესაძლებელია მრავალჯერადად, სრულად ან ნაწილობრივ და თუ **ბანკსა** და **კლიენტს** შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ლიმიტი ავტომატურად დაიფარება **კლიენტის ანგარიშზე** თანხის ჩარიცხვისას / შეტანისას. **ოვერდრაფტი** შეიძლება გააქტიურდეს საწყისი **საშეღავათო პერიოდის** პირობით. **საშეღავათო პერიოდის** განმავლობაში **ოვერდრაფტის საკრედიტო ლიმიტიდან** ათვისებულ თანხას **პროცენტი** ერიცხება, თუ **მხარეები** სხვაგვარად არ შეთანხმდებიან;

1.1.44. **ოვერდრაფტის ავტომატური პროლონგირება** ან **პროლონგაცია** - **ოვერდრაფტის** თანხის გადაუხდელად, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული წესით და **ბანკის** დისკრეციით და ინიციატივით, **ოვერდრაფტის** მოქმედების ვადის გაზრდა იმავე ვადით, რა დროსაც, თუ თავად **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ოვერდრაფტის** სხვა პირობები რჩება უცვლელი;

1.1.45. **ოვერდრაფტის ხელშეკრულება - ბანკსა** და **კლიენტს** შორის მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით დადებული გარიგება, რომლის **დანართსაც** წარმოადგენს წინამდებარე **პირობები;**

1.1.46. **კრედიტი -** ანუიტეტური საკრედიტო პროდუქტი, რომლითაც **კლიენტს** ეძლევა საშუალება დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ისარგებლოს **კრედიტის** თანხით. **კრედიტი** შეიძლება გაიცეს საწყისი საშეღავათო პერიოდის პირობით. **საშეღავათო პერიოდის** განმავლობაში **კრედიტს პროცენტი** ერიცხება, თუ **მხარეები** სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

1.1.47. **კრედიტის ხელშეკრულება** - **ბანკსა** და **კლიენტს** შორის მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით დადებული გარიგება, რომლის **დანართსაც** წარმოადგენს წინამდებარე **პირობები;**

1.1.48. **ტარიფები** ან **მომსახურების ტარიფები - ბანკის** მიერ დადგენილი საფასური, რომელსაც **კლიენტი ბანკს** გადაუხდის **პირობებით** განსაზღვრული მომსახურებისთვის, **პირობების #1 დანართის** შესაბამისად;

1.1.49. **უფლებამოსილი მფლობელი** - **კლიენტი**, **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი** ან/და მისი/მათი უფლებამოსილი წარმომადგენელ(ებ)ი;

1.1.50. **ფორს-მაჟორი** ან **ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ი** - **ხელშეკრულების** ხელმოწერის შემდეგ წარმოშობილი დაუძლეველი ძალის გარემოებები, სტიქიური მოვლენები, კატაკლიზმები, ომი, სამოქალაქო არეულობა, გაფიცვა, ლოკაუტი, კარანტინი, საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების ან/და თვითმმართველობის ორგანოების, საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების გადაწყვეტილებები და ა.შ. რომელიც: (ა) არ არის დაკავშირებული **მხარეთა** ქმედებასთან ან/და უმოქმედობასთან; და (ბ) შეუძლებელს ხდის **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებ(ებ)ის სრულ და ჯეროვან შესრულებას;

1.1.51. **ქართული ლარი ან ლარი ან GEL** - საქართველოს ოფიციალური ვალუტა/ფულადი ერთეული;

1.1.52. **შეღავათიანი აბონენტ(ებ)ი** - **კლიენტის** მიერ, შესაბამისი განაცხადის საფუძველზე **ბანკში** დაფიქსირებული კომუნალური გადახდების მიმღები პროვაიდერ(ებ)ის აბონენტის ნომერი/ები, რომელიც ეკუთვნის **კლიენტს** და რომლის სასარგებლოდ გადახდის შესრულებაც შესაძლოა განხორციელდეს უფასოდ ან შეღავათით, **ბანკის** შეხედულებისამებრ;

1.1.53. **ციფრული ბარათი** ან **თოქენი** - **ბარათის** უნიკალური ციფრული იდენტიფიკატორი, რომელიც გენერირდება და ინახება გადახდის ფუნქციონალის მქონე ელექტრონულ მოწყობილობაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ან ელ. კომერციის მერჩანტის პროგრამულ უზრუნველყოფაში (ვებ-გვერდი ან /და აპლიკაცია) და მისი საშუალებით შესაძლებელია საგადახდო ოპერაციების შესრულება. **ციფრულ ბარათზე** ვრცელდება **კლიენტის** ყველა ის უსაფრთხოების მოთხოვნა და ვალდებულება რაც დაკავშირებულია პლასტიკურ **ბარათთან. ***

1.1.54. **წვდომის კოდები** - **ბარათის** PIN კოდი, პაროლები, **კლიენტის**, მომხმარებლის სახელი ან/და ნებისმიერი სხვა სახის **კონფიდენციალური ინფორმაცია**, რომელიც **ბანკმა** შეიძლება **კლიენტს** მიაწოდოს სხვადასხვა საბანკო მომსახურებებთან უსაფრთხო წვდომისა და სარგებლობის მიზნით;

1.1.55. **ხელშეკრულება** - **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** წარდგენილი **განაცხადის** (როგორც ელექტრონული, ისე არაელექტრონული), **ხელშეკრულების თავსართის**

* **ციფრული ბარათის** სერვისი ხელმისაწვდომია მხოლოდ Visa და MasterCard ტიპის **ბარათებისათვის,** ამასთან Maestro-ს ტიპის **ბარათებისთვის** აღნიშნული სერვისი არ არის ხელმისაწვდომი. **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს** Maestro-ს ტიპის **ბარათის** ჩანაცვლების მოთხოვნით, ხოლო **ბანკი** უზრუნველყოფს Maestro-ს ტიპის **ბარათის** ჩანაცვლებას უსასყიდლოდ, **ბანკის** მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

(ასეთის არსებობისას), **მხარეთა** მიერ ხელმოწერილი **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულებ(ებ)ის** (ასეთის არსებობისას), **პირობების** ან/და ნებისმიერი დამატებითი **განაცხად(ებ)ის**, **დანართ(ებ)ის** ერთობლიობა, რომელიც დაიდო/დაიდება **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და რომლის საფუძველზეც და პირობების შესაბამისადაც **ბანკი** ახორციელებს **კლიენტის** მომსახურებას;

1.1.56. **ხელშეკრულების თავსართი** - მატერიალური, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის (მათ შორის **ბანკომატის** და სხვა) გამოყენებით შექმნილი და **კლიენტისათვის** მიწოდებული წერილობითი ინფორმაცია, რომლითაც **კლიენტი** ეცნობა **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის** ძირითად პირობებს (პროცენტი, საკომისიო, პირგასამტეხლო და სხვა ფინანსური ხარჯები, რომელიც მოთხოვნილია **კანონმდებლობით**) და ხელმოწერის ან ელექტრონული ფორმითვე განხორციელებული ქმედების (ღილაკზე დაჭერა, სმს კოდის მოთხოვნა, ვერიფიკაცია და სხვა) საფუძველზე ეთანხმება მას (თავსართს); აღნიშნული თანხმობა ითვლება **კლიენტის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ; **ხელშეკრულების თავსართი** თან ერთვის **ხელშეკრულებას** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.2. **ხელშეკრულებაში** მხოლობით რიცხვში გამოყენებული ტერმინები ან/და სიტყვები უნდა იყოს აღქმული მრავლობით რიცხვშიც (და პირიქით), თუ თავად **ხელშეკრულების** შესაბამისი პირობის კონტექსტისდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

## 2. განცხადებები და გარანტიები

2.1. **კლიენტი განაცხადზე** ხელმოწერით (**განაცხადის** წარდგენით) აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

2.1.1. წარმოადგენს უფლებაუნარიან და ქმედუნარიან **პირს,** რომელსაც **ხელშეკრულების** დადების მიზნით მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და დავალება (მინდობილობა);

2.1.2. **ხელშეკრულების** დადება ან/და შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში **კანონმდებლობასთან** (მათ შორის **კლიენტის** იურისდიქციის კანონმდებლობასთან), საერთაშორისო ნორმებთან ან/და სხვა სახის დოკუმენტებთან, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო/სამართლებრივი ურთიერთობებით ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას და არ წარმოშობს მესამე პირ(ებ)ისთვის **ხელშეკრულებაზე** შეცილების უფლებას;

2.1.3. არ მონაწილეობს სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დავაში, ადმინისტრაციულ წარმოებებში, რომელიც ხელს შეუშლის მის (**კლიენტის**) მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.1.4. წარმოადგენს გადახდისუნარიან **პირს**, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის) საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი ან/და არ არსებობს სხვა სახის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.1.5. **ხელშეკრულების** დადების მიზნით, **ბანკისთვის** მის (**კლიენტის**) მიერ წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო დოკუმენტები წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;

2.1.6. არ მონაწილეობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან/და ტერორიზმში), რომელიც ეწინააღმდეგება ნებისმიერი იურისდიქციის, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობას;

2.1.7. **ხელშეკრულების** დადებისას **ბანკის** ან/და მესამე პირ(ებ)ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, **კლიენტის** ან/და მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, **ბანკს** არ უსარგებლია **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობით და არ გამოუყენებია ბოროტად **ბანკის** საბაზრო ძალაუფლება;

2.1.8. სრულად გაეცნო და მისთვის მისაღებია **ხელშეკრულების** პირობები და **ხელშეკრულების ტარიფები** და ადასტურებს, რომ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **პირგასამტეხლო** არ არის შეუსაბამოდ მაღალი.

2.1.9. **მხარეთა** შორის ელექტრონული ფორმით დადებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად აღნიშნული გარიგების დადებაზე ელექტრონული ფორმით თანხმობას/ნების გამოვლენას) აქვს მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა (მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა).

2.2. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** ნებისმიერი გარემოებ(ებ)ის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს **ხელშეკრულებაში** მითითებული **განცხადებებისა და გარანტიების** ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა.

2.3. **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირებმა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს**) **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს **განცხადებებისა და გარანტიების** დარღვევას.

2.4. **მხარეები** აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებას** დებენ **განცხადებებსა და გარანტიებზე** დაყრდნობით და თვლიან მათ **ხელშეკრულების** პირობებად. შესაბამისად, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **განცხადებების და გარანტიების** დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე ცალმხრივი უარის სათქმელად ან/და **ხელშეკრულების** ცალხრივად შესაწყვეტად.

## 3. მომსახურების ძირითადი პირობები

3.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს **სოციალური სარგოს** მიმღები პირის **საბანკო ანგარიშის** მომსახურების პირობებს, რომელიც განსაზღვრავს **პროდუქტებით** სარგებლობის წესებს, მათ აღწერილობას და **მხარეთა** უფლება-მოვალეობებს აღნიშნული **პროდუქტებით** სარგებლობის პროცესში.

3.2. **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** შეთავაზებული მომსახურება შედგება, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი **პროდუქტებისგან**:

(ა) **საბანკო ანგარიში;**
(ბ) **ბარათი;**
(გ) მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისი (SMS ბანკი);
(დ) ფიზიკური პირების ინტერნეტბანკინგი;
(ე) ავტომატური გადარიცხვები/Standing Order;
(ვ) **სოციალური ავანსი;**
(ზ) **პენსია ჩარიცხვამდე;**
(თ) **ოვერდრაფტი;**
(ი) **კრედიტი.**

**კლიენტს** უფლებამოსილი პირის მიერ **სოციალური სარგოს** ჩარიცხვისას ავტომატურად მიენიჭება **საბანკო ანგარიშით** და **ბარათით** სარგებლობის უფლება, ხოლო დანარჩენ **პროდუქტებზე კლიენტი** სარგებლობის უფლებას მოიპოვებს წინამდებარე **პირობების** შესაბამისად.

3.3. თუ **კლიენტს** არ გააჩნია **პირობების** 3.2 პუნქტში ჩამოთვლილთაგან, რომელიმე **პროდუქტით** სარგებლობის უფლება, მას არ შეეხება **პირობებში** ამ **პროდუქტის** აღმწერი შესაბამისი პუნქტები. ეს პუნქტები **კლიენტისთვის** ამოქმედდება, **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის პროდუქტით** სარგებლობის უფლების მინიჭების შემდეგ.

3.4. **ბანკი** იტოვებს უფლებას, უარი განუცხადოს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე, თუ **კლიენტმა ბანკისთვის** მისაღები ფორმით და შინაარსით არ შეავსო, ხელი არ მოაწერა ან **ბანკს** არ წარუდგინა **ბანკის** მიერ მოთხოვნილი რომელიმე დოკუმენტი.

3.5. **ბანკი** დაიწყებს **კლიენტის** მომსახურებას მას შემდეგ, რაც **კლიენტი ბანკს** წარუდგენს მის მიერ შევსებულ **განაცხადს** და **ბანკის** მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაციას. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, ერთპიროვნულად, საკუთარი შეხედულებისამებრ არ მიიღოს **განაცხადი** ან/და უარი განუცხადოს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე, მიზეზის გაცხადების გარეშე.

3.6. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს **კლიენტის** მიერ მისთვის (ბანკისთვის) მიწოდებული ან/და **კლიენტის** შესახებ ნებისმიერი სხვა გზით მოპოვებული ინფორმაცია, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს ერთმნიშვნელოვან და უპირობო თანხმობას.

3.7. **კლიენტის** მიერ, **პირობებში** აღწერილი რომელიმე **პროდუქტის** (ან მისი ნაწილის) გამოყენება განიხილება, როგორც **კლიენტის** თანხმობა წინამდებარე **პირობების** შესაბამისად აღნიშნული **პროდუქტით** სარგებლობის პირობებზე.

3.8. **ბანკი** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობები (მათ შორის და არამარტო **ხელშეკრულების № 1 დანართით** განსაზღვრული ტარიფები) იმისთვის, რომ იგი შესაბამისობაში მოვიდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებთან/გადაწყვეტილებებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და **კანონმდებლობასთან**.

3.9. **ხელშეკრულების** და წინამდებარე **პირობების** განახლების/ცვლილებების შესახებ **კლიენტს** ეცნობება **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესით, ხოლო თუ **ბანკი** განახორციელებს დამატებითი **პროდუქტის** პირობების ჩამოყალიბებას/მომსახურების ჩართვას, აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა მოხდება შესაბამისი **განაცხად(ებ)ის** შევსების ან/და შესაბამისი **დანართ(ებ)ის კლიენტისათვის** მიწოდების საფუძველზე ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა წესით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **კლიენტის** ელექტრონული თანხმობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ **ბანკი კლიენტს** არ გადასცემს შესაბამის **დანართს** ან **კლიენტი** არ გაეცნობა განახლებულ პირობებს, მაგრამ **კლიენტი** განახორციელებს/გააგრძელებს ახალი ან განახლებული პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობას იგულისხმება, რომ იგი აღნიშნული ქმედებით ეთანხმება იმ დროისათვის **ბანკში** არსებულ შესაბამისი მომსახურების პირობებს;

3.10. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტს** შესთავაზოს (როგორც **დისტანციური საბანკო მომსახურების** ასევე სხვა არხების საშუალებით), ხოლო **კლიენტის** მიერ სათანადო **განაცხადის** (ელექტრონული თანხმობის) **ბანკისთვის** წარდგენის შემთხვევაში განახორციელოს სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურება, მათ შორის ისეთი საბანკო მომსახურება, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე **პირობებით**.

3.11. **ბანკი** ასევე უფლებამოსილია **კლიენტის** მიმართვის შემთხვევაში, **პირობებში** მოცემული ზოგიერთი მომსახურება, **ბანკის** მიერ განსაზღვრული მოცულობით, განახორციელოს დისტანციური მომსახურების ცენტრის ჩართულობით, მათ შორის განახორციელოს **კლიენტის** იდენტიფიკაცია, გასცეს ინფორმაცია, მიიღოს დავალება და ა.შ.

**ნაწილი II - პროდუქტები**

## 4. საბანკო ანგარიში

4.1. ***<u>საბანკო ანგარიშის გახსნა და ანგარიშით სარგებლობა.</u>*** **კლიენტს საბანკო ანგარიში** გაეხსნება **კანონმდებლობის** შესაბამისად, **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესით, მას შემდეგ რაც უფლებამოსილი პირის მიერ ადგილი ექნება **სოციალური სარგოს** ჩარიცხვას, ხოლო შემდგომში **კლიენტი** შეავსებს/დაეთანხმება **განაცხადს** და **ბანკს** წარუდგენს სათანადო დოკუმენტაციას.

4.2. **კლიენტი** უფლებამოსილია:

4.2.1. მისცეს **ბანკს** დავალებები **საბანკო ანგარიშზე ოპერაციების** საწარმოებლად, **კანონმდებლობით** განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

4.2.2. წაუყენოს **ბანკს** პრეტენზიები **საბანკო ანგარიშზე ამონაწერის** მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში **კლიენტის** მხრიდან პრეტენზიის მიუღებლობის შემთხვევაში, **ამონაწერში** არსებული ინფორმაცია ჩაითვლება სწორად და **კლიენტის** მიერ დადასტურებულად;

4.3. **კლიენტი** ვალდებულია:

4.3.1. **საბანკო ანგარიშზე ამონაწერის** მიღებიდან 1 (ერთი) **საბანკო დღის** ვადაში შეატყობინოს **ბანკს** შეცდომით ჩარიცხული თანხის არსებობის შესახებ და დაუბრუნოს **ბანკს** შეცდომით ჩარიცხული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში **ბანკის** მოთხოვნით გადაუხადოს **ბანკს** ყოველდღიური **პირგასამტეხლო** შეცდომით ჩარიცხული თანხის გამოყენებული ნაწილის 0.5%-ის ოდენობით, აღნიშნული თანხით სარგებლობის ყოველი კალენდარული დღისთვის;

4.3.2. პასუხი აგოს **განაცხადის** შევსების სისწორეზე და მასში მითითებული ინფორმაციის ყველა ცვლილება დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს **ბანკს**;

4.3.3. **ბანკში** მოქმედი **ტარიფების** შესაბამისად გადაიხადოს **ოპერაციების** წარმოებისთვის, ასევე, **საბანკო ანგარიშის** მომსახურებისთვის **ბანკში** დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4.4. **ბანკი** უფლებამოსილია:

4.4.1. დროებით გამოიყენოს **კლიენტის საბანკო ანგარიშზე** არსებული ფულადი სახსრები **კანონმდებლობით** დაშვებული ნებისმიერი საქმიანობისთვის;

4.4.2. საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეაჩეროს **ოპერაცია** ან არ გასცეს მასზე ავტორიზაცია, თუ **ოპერაციის** განხორციელების მომენტში გადახდის საწარმოებლად **კლიენტის საბანკო ანგარიშზე** თავისუფალი სახსრები არ არის საკმარისი;

4.4.3. შეუწყვიტოს **კლიენტს დისტანციური საბანკო მომსახურება**, თუ **კლიენტს ბანკში** აღარ გააჩნია **საბანკო ანგარიში**.

4.5. **ბანკი** ვალდებულია:

4.5.1. დროულად დაუკრედიტოს (ჩარიცხოს) **საბანკო ანგარიშზე** ჩარიცხული თანხები და კუთვნილებისამებრ გადარიცხოს ისინი **საბანკო ანგარიშიდან** არაუგვიანეს 2 (ორი) **საბანკო დღის** ვადაში;

4.5.2. ჩამოწეროს **კლიენტის დავალებით**, ხოლო **კანონმდებლობით** და **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ შემთხვევაში **დავალების** გარეშეც, შესაბამისი თანხები **კლიენტის საბანკო ანგარიშიდან** მათი კრედიტორების/უფლებამოსილი პირების ანგარიშ(ებ)ზე (მათ შორის ბიუჯეტში) გადასარიცხად;

4.5.3. მიიღოს **კლიენტისაგან** (მათ შორის მისი (**კლიენტის**) უფლებამოსილი წარმომადგენილისაგან) და მისცეს მას ან გასცეს მისი **დავალებით** ნაღდი ფული;

4.5.4. **კლიენტს** ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს, **ბანკში** არსებული პროცედურების შესაბამისად და **ტარიფებით** დადგენილი საკომისიოს (ასეთის არსებობისას) გადახდის სანაცვლოდ, გადასცეს **საბანკო ანგარიშის** ამონაწერი.

4.6. ***<u>საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციები.</u>*** **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს** მიიღოს და იმოქმედოს მისი **დავალების** შესაბამისად, რომელსაც **კლიენტი ბანკს** მიაწოდებს წერილობით, ელექტრონული საშუალებით ან **ბანკისთვის** მისაღები სხვა ფორმით. იმ შემთხვევაში, როდესაც **კლიენტის დავალება** წერილობითი ფორმით არ არის განხორციელებული, კერძოდ, **კლიენტის** მიერ არ არის ხელმოწერილი, **ბანკს** აქვს უფლება მიიღოს და განახორციელოს **კლიენტის დავალება**, თუ დაცულია **ბანკში** დაწესებული უსაფრთხოების პროცედურა;

4.7. **ბანკისთვის** მიცემული **დავალებების** დროულად და შეუფერხებლად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით **კლიენტს** მუდმივად უნდა ჰქონდეს **საბანკო ანგარიშზე** აღნიშნული **დავალებების** შესასრულებლად საკმარისი თავისუფალი ნაშთი. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიცემული ნებისმიერი **დავალება** შეიძლება არ/ვერ შესრულდეს, რაზედაც **ბანკი** არანაირ პასუხისმგებლობას არ ატარებს.

4.8. **ბანკის** შესაბამისი ფუნქციონალით აღჭურვილი **ბანკომატის** მეშვეობით **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს განახორციელოს ანგარიშზე თანხის შეტანის ოპერაცია VISA/MasterCard ტიპის ბარათების გამოყენებით **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად. **ბანკომატის** გამოყენებით ანგარიშზე თანხის შეტანის ოპერაციის განსახორციელებლად **კლიენტმა** უნდა მიუთითოს სასურველი ანგარიში და **ბანკომატის** თანხის მიმღებში განათავსოს შესატანი თანხა.

4.9. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკომატის** თანხის მიმღებში განთავსებული თანხა განსხვავდება არჩეული ანგარიშის ვალუტისაგან, **კლიენტის** მიერ წინასწარ არჩეულ ანგარიშზე ჩაირიცხება ანგარიშის ვალუტაში კონვერტირებული თანხა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ვალუტის გაცვლის **ოპერაციის** ინიცირების/დადასტურების შემდეგ, ოპერაციის სრულად დასრულებამდე შეიცვლება **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი**, ვალუტის კონვერტაცია შესრულდება **კლიენტის** ანგარიშზე თანხის ასახვის მომენტში არსებული **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსის** შესაბამისად, მიუხედავად **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსის თაობაზე**, **კლიენტისთვის** ოპერაციის ინცირების/დადასტურების მომენტში მიწოდებული ინფორმაციისა.

4.10. **კლიენტი** ვალდებულია ყურადღებით გაეცნოს **ბანკომატში** თანხის მიღებასთან და ოპერაციის შესრულებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირობას/შეზღუდვას/მითითებას და ოპერაციის განხორციელებისას მიყვეს **ბანკომატის** მიერ გაცემულ ინსტრუქციებს. რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება **კლიენტის** ვალდებულებით **ბანკომატში** არ განათავსოს დაზიანებული, დასვრილი, დაკეცილი, შეკრული, ყალბი კუპიურები. აგრეთვე დაუშვებელია **ბანკომატის** თანხის მიმღებში მონეტების ან/და სხვადასხვა ვალუტის კუპიურების ერთდროულად განთავსება. **ბანკომატის** თანხის მიმღებში ერჯერადად დასაშვები კუპიურების მაქსიმალური ოდენობა განსისაზღვრება წინამდებარე **პირობების** #1 დანართით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტში მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და **ბანკომატის** გამოყენებით ანგარიშზე თანხის შეტანის შეფერხება/შეუძლებლობა შესაძლებელია გამოწვეული იყოს სხვა გარემოებ(ებ)ით. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და **კლიენტის** უყურადღებობის გამო დამდგარ ნებისმიერ შედეგზე, მათ შორის და არა მხოლოდ **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ოპერაციის შესრულებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შედეგად თანხის დაკავებით გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე.

4.11. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **ოპერაციაზე**, რომელიც განხორციელდა/განხორციელდება **საბანკო ანგარიშზე**, როგორც მის (**საბანკო ანგარიშის**) დახურვამდე ასევე მისი დახურვის შემდეგ.

4.12. ***<u>ანგარიშის დახურვა.</u>*** **ბანკი** უფლებამოსილია დახუროს ანგარიში შემდეგ შემთხვევებში; (ა) **კლიენტის** განცხადებით; (ბ) **კლიენტის** მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მოწმობის წარმოდგენისას; (გ) **კლიენტის** მხრიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში ანგარიშის მომსახურების საკომისიოს გადაუხდელობის ან/და **კლიენტის** ანგარიშზე ნაშთის არარსებობისას.

4.13. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** გააჩნია დავალიანება ანგარიშის მომსახურების საკომისიოს სახით, **ბანკი კლიენტის განცხადების** საფუძველზე ანგარიშს დახურავს მხოლოდ მას შემდეგ რაც **კლიენტი** სრულად გადაიხდის აღნიშნულ დავალიანებას.

4.14. **ბანკი** უფლებამოსილია უარი განუცხადოს **კლიენტს** შესაბამისი **პაკეტის** გაუქმებაზე (მათ შორის ანგარიშის დახურვაზე) იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს ბანკის** მიმართ გააჩნია დავალიანება.

4.15. **პირობების** 4.12 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე **ბანკი** უფლებამოსილია ანგარიში დახუროს **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე.

4.16. **კლიენტის** მხრიდან ახალი ანგარიშის გახსნის ან უკვე დახურული ანგარიშის ხელმეორედ გახსნის / გააქტიურების მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს **კლიენტს** თხოვნაზე ან შეასრულოს იგი მხოლოდ (ა) **კლიენტის** მხრიდან **ბანკისადმი** არსებული დავალიანების სრულად დაფარვის ან/და (ბ) ახალ გახსნილ ანგარიშზე ძველი ანგარიშის შეზღუდვების/ვალდებულებების გავრცელების პირობით.

4.17. თუ **ბანკი** თვლის, რომ **კლიენტმა** ანგარიში უნდა დახუროს, **კლიენტს ბანკის** მიერ განსაზღვრული კომუნიკაციის არხით გაეგზავნება წერილობითი თხოვნა, რომელშიც მითითებული იქნება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც **კლიენტს** მოეთხოვება ანგარიშის დახურვა. თუ აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ **კლიენტი** არ დახურავს ანგარიშს, **ბანკს** უფლება აქვს აღარ მიიღოს გადახდები ანგარიშზე (ისეთი გადახდების გარდა, რომლებიც აუცილებელია ანგარიშზე რიცხული დავალიანების დასაფარად) და დაუბრუნოს **კლიენტს** ანგარიშზე რიცხული ნაშთი.

## 5. ბარათი

5.1. წინამდებარე მუხლში მოცემული **ბარათის** მოხმარების პირობები ვრცელდება **კლიენტზე** და **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ზე**.

5.2. **ბარათის** გამოყენება რეგულირდება **კანონმდებლობით**, **ბანკის** პროცედურებით და **ბანკსა** და საერთაშორისო საგადამხდელო სისტემებს (VISA Inc. და MasterCard Europe–ს და სხვა) შორის არსებული ხელშეკრულებების პირობებით.

5.3. **ბარათს ბანკი** ამზადებს და გადასცემს **კლიენტს** სარგებლობაში (დალუქულ კონვერტში მოთავსებულ **წვდომის კოდთან** ერთად) **საბანკო ანგარიშიდან** ოპერაციების საწარმოებლად. **ბარათი** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას.

5.4. **წვდომის კოდის** შეყვანის გარეშე **უკონტაქტო ბარათით** შესრულებულ გადახდის ოპერაციებზე დადგენილი ლიმიტ(ებ)ი განისაზღვრება წინამდებარე **პირობების #1 დანართის** შესაბამისად;

5.5. **კლიენტს** შეუძლია **ბანკისაგან** მოითხოვოს ნებისმიერი მესამე (ფიზიკური) პირისთვის **დამატებითი ბარათის** და მათი შესაბამისი **წვდომის კოდების** გაცემა. **დამატებითი ბარათის** გაცემაზე **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია გააცნოს **დამატებითი ბარათის მფლობელს** წინამდებარე **პირობები**.

5.6. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს**, რომ გადასცეს ინფორმაცია მისი კუთვნილი **საბანკო ანგარიშის** შესახებ **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს**. ეს ინფორმაცია მოიცავს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დეტალებს **საბანკო**

**ანგარიშის** შესახებ, აგრეთვე, სხვა სახის ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია **დამატებითი ბარათის** სათანადო გამოყენებისთვის.

5.7. **ბარათი** შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ **უფლებამოსილმა მფლობელმა**. ნებისმიერი სახის **წვდომის კოდ(ებ)ის** გადაცემა მესამე პირ(ებ)ისთვის დაუშვებელია.

5.8. თუ **დისტანციური საბანკო მომსახურების** გამოყენებით განხორციელებული **ოპერაციების** თარიღი ემთხვევა **არასაბანკო დღეს**, **ოპერაცია** შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო **საბანკო დღეს**.

5.9. თუ **უფლებამოსილი მფლობელი ბარათის** დამზადებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში არ მიაკითხავს **ბანკს ბარათის** მისაღებად, **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს **ბარათი**. **კლიენტს ბარათის** მომსახურების საკომისიო (ასეთის არსებობისას) არ უბრუნდება.

5.10. **ბარათის** მოქმედების ვადის ამოწურვისას **ბარათი** გაუქმდება.

5.11. **ბანკი** იღებს ვალდებულებას:

5.11.1. დაამზადოს და **კლიენტს** სარგებლობაში გადასცეს **ბარათი**, **ბარათის** შესახებ **განაცხადში** მითითებული ინფორმაციის შესაბამისად;

5.11.2. **ბარათის** დაკარგვის შესახებ **განცხადების** მიღების შემდეგ, **ბარათის** მფლობელის ხარჯზე უზრუნველყოს **ბარათის** მოთავსება **განცხადებაში** მითითებულ სტოპ-სიაში.

5.12. **კლიენტი** უფლებამოსილია:

5.12.1. გაასაჩივროს მაქსიმუმ 5 (ხუთი) ოპერაცია, რომელიც ჩატარებულია **ბარათის** გამოყენების გარეშე ნებისმიერი **დისტანციური საბანკო მომსახურების** მეშვეობით. **ბანკის** მიერ პრეტენზიები ზემოხსენებული ტიპის ოპერაციებზე განიხილება მხოლოდ დაკარგული **ბარათის** განახლების შემთხვევაში;

5.12.2. თუ **ბანკი** ავტომატურად არ დაამზადებს ახალ **ბარათს**, წერილობით შეატყობინოს **ბანკს ბარათის** ვადის გასვლის შესახებ და მოითხოვოს ახალი **ბარათის** დამზადება.

5.13. **ბანკი** უფლებამოსილია:

5.13.1. აუცილებლობის შემთხვევაში, **ბარათის** მოქმედების ვადის განმავლობაში შეცვალოს აღნიშნული **ბარათი** ახალი **ბარათით. ბარათის** შეცვლისას, **ბანკი** უფლებამოსილია (არ არის ვალდებული) შეწყვიტოს ძველი **ბარათის** მოქმედება.

5.13.2. შეაჩეროს **ბარათის** მოქმედება, თუ მას (**ბანკს**) აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ **ბარათის** გამოყენება ხდება არაკანონიერი მიზნებისთვის ან/და მისი (**ბარათის**) მფლობელის ნებართვის გარეშე;

5.13.3. გაუგზავნოს **უფლებამოსილ მფლობელს** შეტყობინება **ბანკისთვის ბარათის** დაბრუნების მოთხოვნით, **თუ საბანკო ანგარიშზე ოპერაციების** ჩატარებისას ან/და ასახვისას წარმოიშვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ **ბარათი** ან/და **კლიენტის საბანკო ანგარიში** გამოიყენება ან/და გამოყენებული იქნა უკანონო ქმედებებისთვის;

5.13.4. **ბარათის** დაკარგვის შემთხვევაში **კლიენტს საბანკო ანგარიშიდან** ჩამოაწეროს **ბარათის** დაკარგვიდან **ბანკში ბარათის** დაკარგვის შესახებ წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების მოსვლამდე პერიოდში **ბარათით** ჩატარებული **ოპერაციების** თანხა;

5.13.5. **კლიენტის** ან/და **დამატებითი ბარათის მფლობელის** მიერ **ხელშეკრულების** დარღვევის, აგრეთვე **კლიენტის** გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს **ბარათის** მოქმედება და მიიღოს აუცილებელი ზომები **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანებ(ებ)ის დასაფარად;

5.13.6. შეაჩეროს **ბარათის** მოქმედება არაკანონიერი ოპერაციების ჩატარების აღმოჩენის, აგრეთვე, VISA Inc.-ისა და MasterCard Europe-ის საგადამხდელო სისტემების მიერ **ბარათის** არაკანონიერი გამოყენების დამადასტურებელი ინფორმაციის მოწოდებისთანავე;

5.13.7. წინასწარი შეტყობინების გარეშე შეწყვიტოს ნებისმიერი **ციფრული ბარათის** და იმ ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა. დაბლოკოს, შეზღუდოს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს **კლიენტის** მიერ **ციფრული ბარათის** გამოყენება **კლიენტის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში ან ციფრული ბარათის გამოყენებით, არაკანონიერი ოპერაციების/საქმიანობის თაობაზე ნებისმიერი გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში.

5.13.8. დაბლოკოს **კლიენტის ბარათი** მის (**კლიენტის**) მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკთან** არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის და არამარტო საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

5.13.9. **საბანკო ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტზე** გაცემული ყველა **ბარათით** (მათ შორის **დამატებითი ბარათით**) ჩატარებული, აგრეთვე საგადამხდელო სისტემა VISA Inc.-ის და Master Card Europe-ის გავლით **ბანკებისა** და მესამე პირების მიერ წარდგენილი ოპერაციების ექვივალენტი სახსრები **ბანკში** მოქმედი **ტარიფების** შესაბამისად ასეთი ოპერაციებისთვის გათვალისწინებულ საკომისიო მოსაკრებლებთან ერთად (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

5.13.10. მიზეზის მითითების გარეშე უარი განაცხადოს **კლიენტის** სახელზე **ციფრული ბარათის** გაცემაზე, როგორც კონკრეტული **ბარათის,** ასევე ელექტრონული მოწყობილობის, ვებ - გვერდის ან აპლიკაციის მიმართ.

5.14. **კლიენტი** იღებს ვალდებულებებს:

5.14.1. **ბარათის ბანკისაგან** მიღებისას შეამოწმოს PIN კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია **წვდომის კოდ(ებ)ი**;

5.14.2. შეინახოს **ბარათის** გამოყენებით წარმოებულ **ოპერაციებზე** არსებული ყველა დოკუმენტი და წარუდგინოს იგი **ბანკს** სადავო საკითხების წარმოშობისას;

5.14.3. ყოველი კალენდარული თვის ბოლოს გაეცნოს **ბარათის** მეშვეობით განხორციელებულ ყველა **ოპერაციას** და საჭიროების შემთხვევაში 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით გააპროტესტოს აღნიშნული **ოპერაციები**. ამ ვადაში **ბანკისთვის** პრეტენზიის წერილობით განუცხადებლობის შემთხვევაში, კლიენტის **ბარათის** მეშვეობით განხორციელებული ყველა ოპერაცია ჩაითვლება დადასტურებულად და შემდგომ გაპროტესტებას აღარ ექვემდებარება;

5.14.4. **ბარათის** დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს ბანკის** სატელეფონო მომსახურების ცენტრში სატელეფონო ზარის განხორციელების ან **ბანკში** წერილობითი შეტყობინების ჩაბარების გზით. **კლიენტის** როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი შეტყობინება **ბარათის** დაკარგვის შესახებ გასაგები ფორმით უნდა მოიცავდეს იმ სტოპ სიის ტიპს, რომელშიც **კლიენტს** სურს დაკარგული **ბარათის** განთავსება. ყოველი ზეპირი განაცხადი **ბარათის** დაკარგვის შესახებ უნდა დადასტურდეს წერილობით და დამოწმდეს **კლიენტის** ან მისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. წერილობითი შეტყობინება **ბანკში** უნდა ჩაბარდეს ზეპირი განცხადებიდან 1 (ერთი) **საბანკო დღის** განმავლობაში. წერილობით შეტყობინებად შეიძლება ჩაითვალოს ფოსტით, ფაქსით ან/და ელექტრონული ფოსტით **კლიენტისაგან** მიღებული შეტყობინება. წერილობითი შეტყობინების **კლიენტის** მიერ **ბანკში** ჩაბარების დაგვიანების ან არ ჩაბარების შემთხვევაში, **ბანკის** მიერ **ბარათის** დაკარგვის შესახებ წერილობითი განაცხადის მიღებამდე მესამე პირ(ებ)ის მიერ **ბარათით** წარმოებულ ყველა ოპერაციაზე პასუხს აგებს **კლიენტი** ან/და გარემოებებიდან გამომდინარე **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი**;

5.14.5. თუ **კლიენტი** სარგებლობს **ციფრული ბარათის** სერვისით, ვალდებულია დაიცვას იმ ელექტრონული საშუალებების (მათ შორის და არამხოლოდ, ელექტრონული მოწყობილობა, პროგრამა ან/და ვებ-გვერდი) და **წვდომის კოდების** უსაფრთხოება, რომლებიც გამოიყენება **თოქენის** სერვისით სარგებლობისათვის.

5.14.6. ელექტრონული მოწყობილობის დაკარგვის და **მესამე პირზე** გადაცემის შემთხვევაში, სადაც შენახულია **კლიენტის** საბარათე მონაცემები/**ციფრული ბარათი** ან/და ადგილი აქვს **კლიენტის** აუტენტიფიკაციის მონაცემების კომპრომენტირებას, **კლიენტი** ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ **ბანკს**.

5.14.7. დაკარგული **ბარათის** აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ის **ბანკს**;

5.14.8. დაუბრუნოს **ბანკს ბარათი** მისი (**ბარათის)** გაუქმების, ვადის ამოწურვის, გაუქმების ან მისი ხმარებიდან ამოღების შემთხვევაში ასეთი მოვლენის წარმოშობიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში;

5.14.9. **ბარათით** შეძენილი საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევაში, არ მოითხოვოს სავაჭრო წერტილიდან შეძენილი საქონლის ღირებულება ნაღდი ფულის სახით. ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით შესაბამის **საბანკო ანგარიშზე**;

5.14.10. ჩაატაროს **ბარათით ოპერაციები** მოცემული **პირობების** შესაბამისად;

5.14.11. **ბანკში** მოქმედი **ტარიფების** შესაბამისად გადაიხადოს **ოპერაციების** წარმოებისთვის, ასევე, **საბანკო ანგარიშისა** და **ბარათის** მომსახურებისთვის **ბანკში** დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი (ასეთის არსებობისას), საჭიროების შემთხვევაში აანაზღაუროს **ბარათის** დაკარგვასთან დაკავშირებული დანახარჯები;

5.15. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი:

5.15.1. **ბარათის** დაკარგვის შესახებ წერილობითი განაცხადის მიღებამდე და სტოპ სიაში მისი (**ბარათის**) მოთავსების მიზნით **კლიენტის** მიერ საკომისიოს გადახდამდე (ასეთის არსებობისას) **ბარათით** განხორციელებულ უკანონო **ოპერაციებზე**;

5.15.2. **ბარათით** განხორციელებულ ნებისმიერ უკანონო **ოპერაციაზე**;

5.15.3. ცრუ შეტყობინების შედეგად **ბარათის** ბლოკირებაზე;

5.15.4. **ბარათის** მოქმედების შეჩერებაზე;

5.15.5. დაგვიანებულ, არასწორ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ **ოპერაციებზე**, რომლებიც გამოწვეულია ლოკალური საგადამხდელო სისტემის, საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის ან ტექნიკური მიზეზების გამო;

5.15.6. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული **ოპერაციის** კანონიერებაზე;

5.15.7. **ციფრული ბარათით** სარგებლობის ან **ციფრული ბარათის მესამე პირების** მიერ წარმოებულ ელექტრონულ მოწყობილობაში, ვებ-გვერდზე ან აპლიკაციაში შენახვის შემთხვევაში, აღნიშნული **მესამე პირებისათვის** გადაცემული კონფიდენციალური ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის უსაფრთხოებაზე.

5.16. **ბანკი** არ განიხილავს მიღებულ პრეტენზიებს, თუ **ბარათის** დაკარგვისას მისი მფლობელის მხრიდან დარღვეული იქნება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **ბანკის** ინფორმირების წესები;

5.17. **კლიენტი** პასუხისმგებელია:

5.17.1. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებულ ყველა არაკანონიერ **ოპერაციაზე**;

5.17.2. **ძირითადი** ან/და **დამატებითი ბარათით** სარგებლობის შედეგად **ბანკის** წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებისთვის;

5.17.3. დამდგარი ზიანისთვის, თუ **ბანკისაგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო მისი (**კლიენტის) საბანკო ანგარიში, წვდომის კოდ(ებ)ი** ან სხვა ინფორმაცია **ბარათისა** და მისი მფლობელ(ებ)ის შესახებ ცნობილი გახდა მესამე პირ(ებ)ისთვის;

5.17.4. ყველა **ოპერაციაზე**, რომელიც განხორციელდა **საბანკო ანგარიშზე** მის დახურვამდე ან/და დახურვის შემდეგ;

5.17.5. **ბარათის** ან/და **წვდომის კოდ(ებ)ის** გამოყენებით ჩატარებულ ნებისმიერი ტიპის **ოპერაციაზე**;

5.17.6. **კლიენტი** ვალდებულია აუნაზღაუროს **ბანკს** ზიანი, რომელიც წარმოიქმნება **ბარათის** მფლობელის მიერ წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობების დარღვევის გამო.

5.18. **ბანკი** პასუხისმგებელია:

5.18.1. **კანონმდებლობის** შესაბამისად, **კლიენტის** წინაშე **საბანკო ანგარიშზე ოპერაციების** წარმოების სისწორესა და დროულობაზე;

5.18.2. **საბანკო ანგარიშზე** წარმოებული **ოპერაციების** შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, გარდა **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.19. ***<u>პოს-ტერმინალის მეშვეობით, თანხის განაღდება.</u>*** **კლიენტს** ეძლევა შესაძლებლობა, განახორციელოს მის საბარათე **ანგარიშზე** არსებული თანხის განაღდება, **ბანკთან** შესაბამისი ხელშეკრულებით დაკავშირებული სავაჭრო/მომსახურების ობიექტების (მერჩანტების) ქსელში არსებულ **ბანკის** პოს-ტერმინალის მეშვეობით.

5.20. პოს-ტერმინალის მეშვეობით თანხის განაღდება შესაძლებელია, მხოლოდ მომსახურების/ნასყიდობის საფუასურის გადახდასთან ერთად, ერთი ოპერაციის ფარგლებში, წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული ტარიფებისა და ლიმიტების შესაბამისად.

5.21. **მერჩანტი** უფლებამოსილია უარი განუცხადოს **კლიენტს** თანხის განაღების ოპერაციის შესარულებაზე, რასთან დაკავშირებითაც **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი პრეტენზიით მიმართოს **ბანკს** ან/და **მერჩანტს**.

5.22. ***<u>დამატებითი პირობები საბავშვო ბარათით სარგებლობისათვის.</u>*** **საბავშვო ბარათის** მისაღებად **კლიენტს** ეხსნება დამოუკიდებელი **სოციალური ანგარიში**, რომელზეც არ დაიშვება საკრედიტო ან/და სადებეტო ოპერაციები, გარდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ რეგისტრირებულ მომწოდებლებთან განთავსებულ **ბანკის** პოს-ტერმინალებზე განხორციელებული გადახდის ოპერაციებისა.

5.20. **საბავშვო ბარათით ბანკის** პოს-ტერმინალზე გადახდის ოპერაციის შესრულება საჭიროებს **წვდომის კოდის** გამოყენებას.

5.21. **ბანკის** გადაწყვეტილებით შესაძლებელია გაიცეს **დამატებითი საბავშვო ბარათი**.

5.22. **საბავშვო ბარათით** განხორციელებული ტრანზაქციების თაობაზე **ბანკი** ინფორმაციას მიაწვდის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ან/და სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მათი მოთხოვნის გათვალისწინებით.

5.23. **საბავშვო ბარათის** PIN კოდის ცვლილება და **საბავშვო ბარათის** ნაშთის შემოწმება დასაშვებია/შესაძლებელია როგორც **ბანკის მომსახურების ობიექტ(ებ)ის,** ისე **ბანკომატების** საშუალებით.

## 6. მოკლე ტექსტური შეტყობინებების სერვისი (SMS ბანკი)

6.1. **ბანკი კლიენტს** მის მიერ **განაცხადში** დაფიქსირებულ, საქართველოში მოქმედ სატელეკომუნიკაციო კომპანიის მობილური ტელეფონის ნომერზე, მოკლე ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით, აცნობებს **ბანკის** მიერ განსაზღვრული მოცულობით ინფორმაციას მის (**კლიენტის**) მიერ განხორციელებული **ოპერაციების** შესახებ. აღნიშნული შეტყობინებები განხორციელდება **ბანკში** დადგენილი ფორმით **ოპერაციების** შესრულებისთანავე.

6.2. სმს ბანკის მომსახურებით სარგებლობასთან დაკავშირებით **კლიენტთან** კომუნიკაციისას **ბანკი** უფლებამოსილი იქნება ისარგებლოს **ვერიფიცირებული ნომრით**.

6.3. **კლიენტი** ვალდებულია SMS ბანკის მომსახურებით სარგებლობისთვის **ბანკს** გადაუხადოს **ბანკის ტარიფებით** დადგენილი საკომისიო (ასეთის არსებობისას).

6.4. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი დაგვიანებულ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ შეტყობინებებზე, რომლებიც გამოწვეულია **ბანკისგან** დამოუკიდებელი, მათ შორის ტექნიკური, მიზეზების გამო;

6.5. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ **განაცხადში** დაფიქსირებული ნომრის შეცვლის, გასხვისების, მობილური ტელეფონის ან/და სიმ-ბარათის დაკარგვის, სხვა **პირისთვის** გადაცემის და ნებისმირი მსგავსი ვითარების შედეგად **კონფიდენციალური ინფორმაციის** გამჟღავნებით გამოწვეულ შედეგებზე.

## 7. ფიზიკური პირების ინტერნეტბანკინგი

7.1. ფიზიკური პირების ინტერნეტბანკინგით მომსახურება გულისხმობს **ბანკში** გამოუცხადებლად **კლიენტის** მიერ **ბანკის** ინტერნეტ გვერდის www.libertybank.ge საშუალებით სხვადასხვა ინფორმაციის მიღებას და **კლიენტის საბანკო ანგარიშთან** დაკავშირებული **ოპერაციების** განხორციელებას.

7.2. ინტერნეტბანკინგის მომსახურებით სარგებლობისთვის **კლიენტს ბანკში** არსებული პროცედურების დაცვით გადაეცემა ინტერნეტბანკინგით სარგებლობისთვის საჭირო საიდენტიფიკაციო მონაცემები, ელექტრონული საშუალებები ან/და მოწყობილობები, რომელთა გამოყენებითაც ხდება **კლიენტის** იდენტიფიკაცია. **კლიენტი** ვალდებულია ასეთი მოწყობილობების, თუ საშუალებების გამართულობა შეამოწმოს მისი/მათი მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.

7.3. **ბანკი** უფლებამოსილია ინტერნეტბანკინგით სარგებლობის უსაფრთხოების ამაღლების და **კლიენტის** მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შექმნას დამატებითი მექანიზმები **კლიენტის** საიდენტიფიკაციოდ.

7.4. **კლიენტის** მიერ ინტერნეტბანკინგით სარგებლობისას, იდენტიფიცირება არ ხდება ხელმოწერით ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ასეთ შემთხვევაში პიროვნების იდენტიფიცირება ხდება **კლიენტის** მიერ აუთენტურობის დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ; ნებისმიერი ქმედება, რომელიც შესრულებულია მას შემდეგ, რაც ელექტრონულ სისტემაში მოხდა ნებადართული შეღწევა ნამდვილობის დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, ასეთი შეღწევა და შეღწევის შედეგად შესრულებული ნებისმიერი ოპერაცია ჩაითვლება **კლიენტის** მიერ სათანადოდ შესრულებულად და სამართლებრივი ძალის მქონედ.

7.5. **ბანკი** და **კლიენტი** ვალდებულნი არიან დაიცვან საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალურობა.

7.6. საიდენტიფიკაციო მონაცემების დაკარგვის შემთხვევაში **კლიენტი** ვადლებულია დაუყოვნებლივ მიმართოს **ბანკს**, რის საფუძველზეც **ბანკი** მოახდენს **კლიენტის საბანკო ანგარიშზე** ინტერნეტბანკინგის მომსახურების შეჩერებას საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლის მომენტამდე, რათა თავიდან აცილებულ იქნეს **კლიენტის საბანკო ანგარიშებზე** მესამე პირების მხრიდან შესაძლო არასანქცირებული წვდომა.

7.7. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან/და ზიანზე, რომელიც შეიძლება მიყენებულ იქნეს **კლიენტისთვის** ტექნიკური დეფექტის, ელექტრონული გადაცემის ხარვეზის ან/და **ბანკის** ელექტრონულ სისტემებში და სხვა ელექტრონულ საშუალებებში უკანონო შეღწევის გამო. ამასთანავე, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან/და ზიანზე, რომელიც გამოწვეული იქნა სერვისში შეფერხებით ან/და სერვისის გადატვირთვით, რომელიც გავლენას ახდენს ელექტრონული სისტემების ფუნქციონირებაზე.

7.8. ნებისმიერი ტექნიკური საშუალება, რომელსაც **ბანკი** გადასცემს **კლიენტს** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას და **კლიენტის** მიერ გამოყენებული უნდა იქნას **პირობებში** გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

7.9. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები **კლიენტის** აქტიურ **ოპერაციებზე**.

7.10. **ბანკი** უფლებამოსილია შეასრულოს **კლიენტის** მიერ ინტერნეტბანკინგის საშუალებით გაგზავნილი **დავალება**. ასეთი სახით გაგზავნილი **დავალება ბანკის** მიერ ჩაითვლება უფლებამოსილი პირის მიერ გაგზავნილად. **კლიენტის** მიერ **დავალების** ინტერნეტბანკინგის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია ცალხმრივად უარი თქვას ინდივიდუალური **დავალების** შესრულებაზე, იმ შემთხვევაში, თუ **საბანკო ანგარიშზე** არსებული ნაშთი არ არის საკმარისი აღნიშნული **დავალების** შესასრულებლად ან მიღებული **დავალების** ოდენობა აჭარბებს **ბანკის** მიერ დადგენილ ყოველდღიურ ლიმიტს.

7.11. **კლიენტი** აცნობიერებს რისკს, რომ ინტერნეტბანკინგით სარგებლობა დაკავშირებულია ელექტრონული სახით ინფორმაციის გაცვლასთან და აქედან გამომდინარე პასუხისმგებელია ნებისმიერ მესამე პირ(ებ)ის მიერ ელექტრონულ სისტემაში უკანონო შეღწევით გამოწვეულ ზიანზე.

7.12. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ **ბანკს** ნებისმიერ დროს აქვს უფლება განათავსოს სავალდებულო ძალის მქონე წერილობითი განცხადება (მათ შორის და არამარტო დისქლეიმერი) ელექტრონული სახით ინფორმაციის განთავსების და მიწოდების ადგილას.

7.13. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმდება, რომ **ბანკს** ნებისმიერ დროს აქვს უფლება დააწესოს შეზღუდვა მის (**კლიენტის**) მიმართ მომსახურების გაწევაზე ან **კლიენტის** მიერ **პროდუქტის** გამოყენებაზე იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** იმყოფება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

7.14. **კლიენტის** მიერ ინტერნეტბანკინგის სერვისის 6 (ექვსი) თვეზე მეტი ვადით გამოუყენებლობისას **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს **კლიენტის** წვდომა ინტერნეტბანკინგის სისტემაში. **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკში** ფიზიკური გამოცხადებით და შესაბამისი საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის სანაცვლოდ მოითხოვოს ინტერნეტბანკინგის სერვისის გააქტიურება.

7.15. **კლიენტი** ვალდებულია:

7.15.1. უსაფრთხოდ შეინახოს ინტრენეტბანკით სარგებლობისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, მოწყობილობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და **წვდომის კოდ(ებ)ი**. **კლიენტს** ეკრძალება აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ისთვის;

7.15.2. ინტერნეტბანკინგში პირველივე შესვლისას შეცვალოს **წვდომის კოდ(ებ)ი** და შემდგომში პერიოდულად ცვალოს ისინი უსაფრთხოების დაცვის მიზნით და დაიცვას მათი კონფიდენციალურობა;

7.15.3. **წვდომის კოდ(ებ)ის** და მოწყობილობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკარგვის ან გამჟღავნების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნული ფაქტის შესახებ **ბანკს**.

7.16. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია **კლიენტის** ან მესამე პირ(ებ)ის კუთვნილი კომპიუტერის, ქსელის ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით, ასევე აღნიშნული საშუალებების გამოყენებით მესამე პირ(ებ)ის მიერ **კონფიდენციალური ინფორმაციის** მიღებით ან განხორციელებული ოპერაციებით.

7.17. **კლიენტი** ადასტურებს, რომ ინტერნეტბანკის საშუალებით შესრულებულ **ოპერაციებს** აქვთ **საბანკო ანგარიშის** განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ

დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) ქაღალდზე დაბეჭდილი საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

## 8. ავტომატური გადარიცხვები

8.1. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ავტომატური გადარიცხვებით მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში **ბანკს** შესაძლებლობა ეძლევა **კლიენტის საბანკო ანგარიშიდან** უაქცეპტო წესით ჩამოჭრას და გადარიცხოს **კლიენტის** მიერ წინასწარ განსაზღვრული თანხები **კლიენტის** მიერ წინასწარ განსაზღვრულ **საბანკო ანგარიშზე კლიენტის** მიერ წინასწარ განსაზღვრულ თარიღებში.

8.2. ავტომატური გადარიცხვებით მომსახურების ჩართვა **კლიენტისთვის** მოხდება მის მიერ **განაცხადის** შევსების შემდეგ, ამავე **განაცხადში** მითითებული პარამეტრების და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.3. ავტომატური გადარიცხვების მომსახურების საკომისიო და მისი გადახდის პირობები განსაზღვრულია **პირობების № 1 დანართით.**

8.4. **კლიენტის** ავტომატური გადარიცხვებით მომსახურების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა ასეთი გადარიცხვების შესრულების მომენტში **კლიენტის საბანკო ანგარიშზე** გადარიცხვების შეუფერხებელი შესრულებისთვის საჭირო/საკმარისი თანხა.

8.5. **მხარეები** თანხმდებიან, რომ ავტომატური გადარიცხვების შესასრულებლად **ბანკის** მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქაღალდზე დაბეჭდილი და **საბანკო ანგარიშის** განკარგვის უფლებამოსილების მქონე **პირის** მიერ ხელმოწერით დადასტურებული ქაღალდის საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

8.6. **კლიენტი** უფლებამოსილია:

8.6.1. **ბანკში** ახალი **განაცხადის** წარდგენის გზით დააზუსტოს/შეცვალოს ავტომატური გადარიცხვების თავდაპირველ **განაცხადში** დაფიქსირებული მონაცემები;

8.6.2. უარი განაცხადოს სერვისით სარგებლობაზე.

8.7. **ბანკი** უფლებამოსილია:

8.7.1. არ განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა **კლიენტის საბანკო ანგარიშზე** არასაკმარისი ნაშთის არსებობისას;

8.7.2. არ განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე **ბანკის** წინაშე **კლიენტის** დავალიანების არსებობისას;

8.8. **კლიენტი** ვალდებულია:

8.8.1. **საბანკო ანგარიშზე** ყოველთვის იქონიოს ავტომატური გადარიცხვის შეუფერხებელი შესრულებისთვის, მათ შორის ამგვარი მომსახურების საფასურის (ასეთის არსებობისას) გადახდისთვის საკმარისი ნაშთი;

8.8.2. გადაიხადოს მომსახურების საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადარიცხვის მომენტისთვის **ბანკში** მოქმედი **ტარიფების** შესაბამისად.

## 9. სოციალურ ავანსებთან დაკავშირებული მომსახურება

(i) ***<u>სოციალური ავანსით სარგებლობის პირობები</u>***

9.1. **კლიენტს** შეუძლია **ბანკთან** გაფორმებული ორმხრივი **სოციალური ავანსის ხელშეკრულების** საფუძველზე მიიღოს **სოციალური ავანსი.**

9.2. თუ თავად **კლიენტთან** მატერიალური სახით ხელმოწერილი სოციალური დახმარების ან/და სახელმწიფო პენსიის ავანსის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, წანამდებარე **პირობებში** მოცემული ტერმინთა განმარტებები სრულად ვრცელდება სოციალური დახმარების ან/და სახელმწიფო პენსიის ავანსის ხელშეკრულებაზე და მის **დანართებზე** (ასეთის არსებობისას).

9.3. **სოციალური ავანსის ხელშეკრულების** დადების შემთხვევაში, **ბანკისთვის** წარდგენილი **განაცხადი** (ასეთის არსებობისას), მატერიალური სახით ხელმოწერილი სოციალური დახმარების ან/და სახელმწიფო პენსიის ავანსის ხელშეკრულება და წინამდებარე **პირობები** წარმოადგენენ და ქმნიან ერთიან **ხელშეკრულებას,** რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა **მხარეთათვის.**

9.4. სოციალური დახმარების ან/და სახელმწიფო პენსიის ავანსის ხელშეკრულების და წინამდებარე **პირობების** ან/და **დანართების** პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება სოციალური დახმარების ან/და სახელმწიფო პენსიის ავანსის ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.

9.5. **კლიენტისათვის** ცნობილია და **სოციალური ავანსის ხელშეკრულებით** ის ეთანხმება, რომ **სოციალური ავანსის ხელშეკრულების** შესაბამისად **ავანსის** გაცემა დამოკიდებულია მხოლოდ **ბანკის** ნებაზე. ამასთან, **სოციალური ავანსის ხელშეკრულების** დადება არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში გასცეს **ავანსი, სოციალური ავანსის ხელშეკრულება** მხოლოდ განსაზღვრავს **ავანსის** მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **ავანსის** გაცემის საფუძველზე **ბანკსა** და **კლიენტს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

9.6. **ბანკის** მიერ **ავანსის** გაცემის შემთხვევაში, **კლიენტის** მიერ **ავანსის** დაფარვა უნდა განხორციელდეს სოციალური დახმარების ან/და სახელმწიფო პენსიის ავანსის ხელშეკრულებით განსაზღვრული მოცულობით, საშუალებითა და წესით; ამასთან, აღნიშნული დათქმა არ ზღუდავს **ბანკის** უფლებას მოსთხოვოს **კლიენტს ავანსის** დაფარვა სხვა საშუალებითა და წესით.

9.7. **დაფარვის თარიღზე კლიენტის ავანსის** დაფარვა განხორციელდება **ანგარიშზე** ყოველთვიურად ჩარიცხული იმ ტიპის **სოციალური სარგოს** თანხიდან, რომლის გათვალისწინებითაც მოხდა **ავანსის** გაცემა. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** რაიმე მიზეზით შეუწყდა ან დროებით შეუჩერდა შესაბამისი **სოციალური სარგოს** ჩარიცხვა - ის (**კლიენტი**) ვალდებულია დაფაროს **ავანსი ანგარიშზე** შესაბამისი თანხის ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორებით ჩარიცხვის გზით - **სოციალური ავანსის ხელშეკრულებიდან** წარმოშობილი ყველა ვალდებულების სრულ დაფარვამდე.

9.8. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში **კლიენტი** ვალდებულია:

9.8.1 **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მესამე პირების წინაშე არ იკისროს საკრედიტო ან/და სხვა ფინანსური ვალდებულებები;

9.8.2 საბანკო ოპერაციები აწარმოოს და **სოციალური სარგო** მიიღოს მხოლოდ **ბანკში** გახსნილ **ანგარიშზე**, მიუხედავად ამჟამად ან მომავალში ნებისმიერ მესამე პირთან გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის ან/და სახელმწიფოს მიერ მიღებული ნებისმიერი ინდივიდუალური ან/და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტ(ებ)ის რომელიმე პირობისა.

9.8.3 **სოციალური ავანსის ხელშეკრულების** დადებით **კლიენტი ბანკს** აძლევს წინასწარ, უპირობო და გამოუთხოვად უფლებას, რომ **სოციალური ავანსის ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში **კლიენტის** მიერ ნებისმიერი **სოციალური სარგოს** მიღების მიზნით სხვა კომერციულ ბანკში საბანკო ანგარიშის გახსნის შემთხვევაში, **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების და დამატებითი ნებართვის გარეშე, მიმართოს ასეთ კომერციულ ბანკს და **კლიენტის** სახელით ჩართოს ავტომატური გადარიცხვების სერვისი ან სხვაგვარად მიმართოს **კლიენტის** ასეთ ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხები **სოციალური ავანსის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **ავანსის**, პირგასამტეხლო(ები)ს ან/და **კლიენტზე** დაკისრებული ნებისმიერი სხვა გადასახდელ(ებ)ის სრულად დასაფარად.

(ii) ***<u>სოციალური ავანსი ბანკომატის ან/და სხვა დისტანციური საბანკო მომსახურების არხების საშუალებით</u>***

9.9. **კლიენტს** შეუძლია **სოციალური ავანსის** მიღება **ბანკომატის** ან/და სხვა **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხის გამოყენებით;

9.10. იმდენად, რამდენადაც **კლიენტისათვის** შესაბამისი **განაცხადის** საფუძველზე შესაძლებელია **ავანსის** მიღება **ბანკომატის** საშუალებით, - **კლიენტი**, აღნიშნული **განაცხადის ბანკისთვის** წარდგენისას:

9.10.1 ადასტურებს, რომ გაცნობილია **პირობებს**;

9.10.2 ეთანხმება **ბანკის** მიერ **ბანკომატის** საშუალებით წინასწარ შეთავაზებულ **ავანსის** პირობებს, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ეთანხმება და სურს **ბანკთან სოციალური ავანსის ხელშეკრულების** დადება;

9.10.3 ადასტურებს, რომ მისთვის მისაღებია **ბანკომატის** საშუალებით შეთავაზებული **ავანსის** მოცულობა, მოქმედების ვადა, გაცემის საკომისიოს (ასეთის არსებობისას) ტარიფი და მოცულობა, მომსახურების საკომისიოს (ასეთის არსებობისას) ტარიფი და მოცულობა და **ავანსის** თანხის ნაღდის სახით გატანის საკომისიოს (ასეთის არსებობისას) ტარიფი და მოცულობა.

9.11. **კლიენტისთვის** ცნობილია და ის ეთანხმება, რომ **სოციალური ავანსის ხელშეკრულების** შესაბამისად **ავანსის** გაცემა და მისი მოცულობის განსაზღვრა დამოკიდებულია მხოლოდ **ბანკის** ნებაზე. ამასთან, **ხელშეკრულების** დადება არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში გასცეს **ავანსი, სოციალური ავანსის ხელშეკრულება** მხოლოდ განსაზღვრავს **ავანსის** მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **ავანსის** გაცემის საფუძველზე **ბანკსა** და **კლიენტს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

9.12. **ბანკის** მიერ **ავანსის** გაცემის შემთხვევაში, **კლიენტი** იღებს ვალდებულებას **ავანსის** მოქმედების ვადაში სრულად დაფაროს **ავანსის** თანხა და მასთან დაკავშირებული ყველა გადასახდელი, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, **ავანსის** მომსახურების საკომისიოს. **ავანსის** თანხის და **ავანსის** მომსახურების საკომისიოს გადახდის პერიოდულობა შესაძლებელია განისაზღვროს ანუიტეტური გადახდის გრაფიკის სახით და მიეწოდოს **კლიენტს,** მოთხოვნის შემთხვევაში.

9.13. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **კლიენტის** მიერ ვალდებულების დაფარვა განხორციელდება **პირობებით** განსაზღვრული საშუალებითა და წესით, ამასთან აღნიშნული დათქმა არ ზღუდავს **ბანკის** უფლებას ვალდებულებების შესრულება **კლიენტს** მოსთხოვოს სხვა საშუალებ(ებ)ითა და წესით.

9.14. **კლიენტი** ვალდებულია **ავანსის** გაცემის საკომისიო წინამდებარე **პირობების** დანართში განსაზღვრული ოდენობით სრულად გადაიხადოს **ბანკის** მიერ **ავანსის** გაცემისას.

9.15. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ **ავანსის** აღების და **სოციალური ავანსის** დაფარვის თარიღებს შორის არის 18 (თვრამეტი) კალენდარულ დღეზე ნაკლები პერიოდი, **ავანსის** პირველი დაფარვა განხორციელდება მომდევნო დაფარვის თარიღში.

9.16. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** უკვე სარგებლობს **ავანსით,** რომელიმე სოციალური გასაცემლის ფარგლებში, **კლიენტზე** იგივე სოციალური გასაცემლის ფარგლებში ახალი (პარალელური) **ავანსის** გაცემა არ არის შესაძლებელი.

9.17. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** გაიაქტიურებს **ავანსს ბანკის** ნებისმიერ მომსახურების არხში და მათ შორის **ბანკომატის** გამოყენებით და შემდეგ მოახდენს **ავანსის** თანხის გატანას **ბანკის** რომელიმე მომსახურების არხში **ბანკომატის** გარდა, მას (**კლიენტს**) დაეკისრება **ავანსის** თანხის ნაღდის სახით გატანის საკომისიო **პირობების** დანართში მოცემული ტარიფის მიხედვით.

9.18. **ავანსით** სარგებლობის განმავლობაში **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მესამე პირების წინაშე არ იკისროს საკრედიტო ან/და სხვა ფინანსური ვალდებულებები.

(iii) ***სხვა პირობები***

9.19. თუ **ავანსის** დაფარვის თარიღი დაემთხვა შაბათს, კვირას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ არასამუშაო დღეს (ოფიციალურ დღესასწაულს) - ის (დაფარვის თარიღი) გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღემდე.

## 10. ჩარიცხვამდე პენსიის მიღების მომსახურება

10.1. **ჩარიცხვამდე პენსიის მიღების მომსახურება კლიენტისათვის** ხელმისაწვდომია მხოლოდ შესაბამისი კალენდარული თვის ფიქსირებულ პერიოდში, წინამდებარე **პირობების დანართი N2-ით** განსაზღვრული ცხრილის შესაბამისად. **ჩარიცხვამდე პენსიის მიღების მომსახურებით** სარგებლობა შესაძლებელია **კლიენტის** მიერ **ბანკის მომსახურების ობიექტებში** მიმართვის საფუძველზე ან **დისტანციური საბანკო მომსახურების არხების (ბანკომატის, ინტერნეტ ბანკი** და ა.შ.) მეშვეობით. **მომსახურების ობიექტებში** მიმართვისას მომსახურების მიღება არ საჭიროებს ცალკე **განაცხადის** შევსებას.

10.2. **ჩარიცხვამდე პენსიის მიღების მომსახურება** ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** პენსიის მოცულობა შეადგენს არანაკლებ 45 (ორმოცდახუთი) და არაუმეტეს 300 (სამასი) ლარს. ამასთან, **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ აღნიშნული ლიმიტის ფარგლებში, მისთვის ხელმისაწვდომი თანხის მოცულობის განსაზღვრა დამოკიდებულია მხოლოდ **ბანკის** ნებაზე და წინამდებარე **პირობები** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში გასცეს **კლიენტის** მიერ მოთხოვნილი თანხა.

10.3. **ჩარიცხვამდე პენსიის მიღების მომსახურებით** სარგებლობის თითოეულ ჯერზე დაწესებულია მომსახურების საკომისიო, რომლის ოდენობაც მოცემულია **ტარიფებში**.

10.4. თუ **ჩარიცხვამდე პენსიის მიღების მომსახურებით** სარგებლობა განხორციელდა **მომსახურების ობიექტების** მეშვეობით, **კლიენტი** მომსახურების საკომისიოს მოცულობის შესახებ ინფორმირებული იქნება შესაბამისი საგადახდო ქვითრით.

10.5. **ჩარიცხვამდე პენსიის მიღების მომსახურების** მოქმედების ვადა (სარგებლობის პერიოდი) განისაზღვრება დროის მონაკვეთით მომსახურების გააქტიურების თარიღიდან პენსიის ჩარიცხვის თარიღამდე (მაგალითად: თუ **კლიენტმა ჩარიცხვამდე პენსიის მიღების მომსახურებით** ისარგებლა 3 მარტს, მომსახურების მოქმედების ვადა განისაზღვრება კლიენტისთვის მარტის თვის პენსიის ჩარიცხვის თარიღამდე). **ჩარიცხვამდე პენსიის მიღების მომსახურების** მოქმედების ვადის განმავლობაში **კლიენტის ანგარიშზე, ბანკის** მიერ განსაზღვრული ოდენობით და **კლიენტის** მიერ მისაღები ერთი თვის პენსიის თანხის გათვალისწინებით ხდება თანხის განთავსება, რომლის ხარჯზეც ხორციელდება აღნიშნული მომსახურებისათვის დადგენილი მომსახურების საკომისიოს ჩამოჭრა.

10.6. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში **კლიენტი** ვალდებულია:

10.6.1. საბანკო ოპერაციები აწარმოოს და **სოციალური სარგო** მიიღოს მხოლოდ **ბანკში** გახსნილ **ანგარიშზე**, მიუხედავად ამჟამად ან მომავალში ნებისმიერ მესამე პირთან გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის ან/და სახელმწიფოს მიერ მიღებული ნებისმიერი ინდივიდუალური ან/და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტ(ებ)ის რომელიმე პირობისა;

10.6.2. **ჩარიცხვამდე პენსიის მიღების მომსახურებით** სარგებლობით **კლიენტი ბანკს** აძლევს წინასწარ, უპირობო და გამოუთხოვად უფლებას, რომ აღნიშნული მომსახურებით სარგებლობის პერიოდში **კლიენტის** მიერ ნებისმიერი **სოციალური სარგოს** მიღების მიზნით სხვა კომერციულ ბანკში საბანკო ანგარიშის გახსნის შემთხვევაში, **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების და დამატებითი ნებართვის გარეშე, მიმართოს ასეთ კომერციულ ბანკს და **კლიენტის** სახელით ჩართოს ავტომატური გადარიცხვების სერვისი ან სხვაგვარად მიმართოს **კლიენტის** ასეთ ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხები **ხელშეკრულებით ჩარიცხვამდე პენსიის მიღების მომსახურებით** სარგებლობის შედეგად წარმოშობილი დავალიანების, პირგასამტეხლო(ები)ს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და **კლიენტზე** დაკისრებული ნებისმიერი სხვა გადასახდელ(ებ)ის სრულად დასაფარად.

10.7. **ჩარიცხვამდე პენსიის მიღების მომსახურებით** სარგებლობის შედეგად წარმოშობილი **კლიენტის** დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ავტომატურად იფარება **კლიენტის ანგარიშზე** ჩარიცხული პენსიის თანხიდან;

10.8. თუ **ჩარიცხვამდე პენსიის მიღების მომსახურებით** სარგებლობის შემდეგ **კლიენტს** პენსია არ ჩაერიცხა და **კლიენტმა** სხვა ფორმით (მაგალითად, საკუთარი სახსრებით) არ დაფარა აღნიშნული მომსახურებით სარგებლობის შედეგად წარმოშობილი დავალიანება, ასეთ შემთხვევაში **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, რომ **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

10.8.1. განახორციელოს **ბანკში კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე** არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და

10.8.2. **ბანკში** არსებული **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს თანხები დავალიანების დასაფარად / შესამცირებლად; ან/და

თუ დავალიანების და **კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან.**

## 11. ოვერდრაფტთან და კრედიტთან დაკავშირებული მომსახურება

(i) ***ოვერდრაფტით და კრედიტით სარგებლობის მიზნით განაცხადის წარდგენა***

11.1. **ოვერდრაფტი** და **კრედიტი კლიენტისათვის** შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს როგორც **ბანკის მომსახურების ობიექტ(ებ)ში,** ისე **დისტანციური საბანკო მომსახურების არხებში (ბანკომატის, ინტერნეტ ბანკი** და ა.შ.).

11.2. **ოვერდრაფტით** ან/და **კრედიტით** სარგებლობის მიზნით, **მხარეები** ახორციელებენ შემდეგ პროცედურას: (ა) **კლიენტი** ირჩევს **ბანკის** მიერ წინასწარ განსაზღვრულ ერთ-ერთ **მომსახურების ობიექტს** ან **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხს**,** რომლითაც სურს **ოვერდრაფტზე** ან/და **კრედიტზე** მოთხოვნის წარდგენა შესაბამისი **განაცხადის** წარდგენის ფორმით ან მის გარეშე; (ბ) **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხის შემთხვევაში **კლიენტი** ელექტრონულად ავსებს/ირჩევს **განაცხადში** მოცემულ სავალდებულო ველებს. **მომსახურების ობიექტის** შემთხვევაში **ოვერდრაფტით** ან/და **კრედიტით** სარგებლობის მიზნით სავალდებულოდ შესავსები ინფორმაცია **ბანკის** საოპერაციო სისტემაში ივსება **ბანკის** მიერ წინასწარ ავტორიზებული თანამშრომლის მიერ **კლიენტის** ზეპირი მოთხოვნის საფუძველზე, მისი (**კლიენტის**) **კანონმდებლობის** მოთხოვნათა შესაბამისად იდენტიფიცირების შემდეგ; (გ) **ოვერდრაფტით** ან/და **კრედიტით** სარგებლობის მიზნით მოთხოვნის, ან/და **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხში **განაცხადის** წარდგენამდე **ბანკი კლიენტს** გააცნობს **ხელშეკრულების** ძირითად პირობებს, რაც **ოვერდრაფტის** და **კრედიტის** შემთხვევაში ხორციელდება **ხელშეკრულების თავსართის** მეშვეობით; (დ) თუ **კლიენტისთვის** მისაღებია **ბანკის** მიერ მიწოდებული (მათ შორის **ხელშეკრულების თავსართში** მოცემული) ინფორმაცია, ის (**კლიენტი**) შესაბამისი ქმედებით (**მომსახურების ობიექტის** შემთხვევაში მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერა, ხოლო **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხის შემთხვევაში შესაბამის ღილაკზე დაჭერა ან/და სხვა ქმედება) ეთანხმება მას (**ხელშეკრულების** ძირითად პირობებს); (ე) თანხმობის (მათ შორის **ხელშეკრულების თავსართზე** თანხმობის) მიცემის შემდგომ **განაცხადი** (ასეთის არსებობისას) **კლიენტის** დასტურით ეგზავნება **ბანკს;** (ვ) **ბანკი** განიხილავს **კლიენტის** მოთხოვნას **ოვერდრაფტით** ან/და **კრედიტით** სარგებლობაზე და თუ **კლიენტი** აკმაყოფილებს **ბანკის** მოთხოვნებს, გასცემს/ააქტიურებს **ოვერდრაფტს** ან/და **კრედიტს**.

11.3. თუ **კრედიტის** ან/და **ოვერდრაფტის** მოთხოვნა ხდება **მომსახურების ობიექტის** მეშვეობით, **განაცხადის** წარდგენა (ასეთის არსებობისას), **ხელშეკრულების თავსართის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულების** ხელმოწერა: (ა) ადასტურებს, რომ **კლიენტი** გაცნობილია და ეთანხმება **ბანკის** მიერ მიწოდებულ, მათ შორის **ხელშეკრულების თავსართში, ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულებაში** მოცემულ ინფორმაციას და **პირობებს**, (ბ) სურს **პროდუქტით** სარგებლობა და **ხელშეკრულების** დადება და (გ) მისთვის მისაღებია **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის** მოცულობა, **პროცენტი**, მოქმედების ვადა და სხვა პირობები;

11.4. თუ **კრედიტის** ან/და **ოვერდრაფტის** სარგებლობის მიზნით **განაცხადის** წარდგენა ხდება **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხის საშუალებით, **კლიენტი** აღნიშნული მომსახურების **ბანკისაგან** ელექტრონულად მოთხოვნისას:

11.4.1. ადასტურებს, რომ გაცნობილია **პირობებს**;

11.4.2. ეთანხმება **ბანკის** მიერ **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხის საშუალებით წინასწარ შეთავაზებულ **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის** პირობებს, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ეთანხმება და სურს **პირობების** მე-11 მუხლში განსაზღვრული, შესაბამისი **პროდუქტით** სარგებლობა და **ხელშეკრულების** დადება;

11.4.3. ადასტურებს, რომ მისთვის მისაღებია **დისტანციური საბანკო მომსახურების არხის** საშუალებით შეთავაზებული **პროდუქტის** მოცულობა, მოქმედების ვადა, **პროცენტის** ოდენობა**,** საკომისიოს (ასეთის არსებობისას) ტარიფი და მოცულობა.

11.5. **ბანკი განაცხადს** (ასეთის არსებობისას)**, ხელშეკრულების თავსართს** (ასეთის არსებობისას), **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულებას** და მასში მოცემულ პირობებს, წინამდებარე **პირობებთან** ერთად განიხილავს, როგორც ერთიან **ხელშეკრულებას** და **კლიენტის** მიერ აღნიშნულ **განაცხადზე/ხელშეკრულების თავსართზე, ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულებაზე** თანხმობის მიცემა და შესაბამისი **პროდუქტით** სარგებლობის დაწყება, ჩაითვლება **კლიენტის** თანხმობად/ნებად გარიგების (**ხელშეკრულების**) დადებაზე.

(ii) ***ოვერდრაფტით და კრედიტით სარგებლობის ზოგადი პირობები***

11.6. **კლიენტს** შეუძლია **ბანკის** მიერ **ბანკთან** გაფორმებული ორმხრივი **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულების** საფუძველზე მიიღოს **კრედიტი** ან/და **ანგარიშზე** გაიაქტიუროს **ოვერდრაფტი.**

11.7. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის** გაცემა და მისი მოცულობის განსაზღვრა დამოკიდებულია მხოლოდ **ბანკის** ნებაზე. ამასთან, **ხელშეკრულების** დადება არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში გასცეს/გაააქტიუროს მოთხოვნილი **პროდუქტი**. ამასთან, **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულება** მხოლოდ განსაზღვრავს **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის** მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს

**ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის** გაცემის საფუძველზე **ბანკსა** და **კლიენტს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

11.8. **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულების** და წინამდებარე **პირობების** ან/და **დანართების** პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას, უპირატესობა მიენიჭება **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულებით** განსაზღვრულ პირობებს.

11.9. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში **კლიენტი** ვალდებულია:

11.9.1. საბანკო ოპერაციები აწარმოოს და **სოციალური სარგო** მიიღოს მხოლოდ **ბანკში** გახსნილ **ანგარიშზე**, მიუხედავად ამჟამად ან მომავალში ნებისმიერ მესამე პირთან გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის ან/და სახელმწიფოს მიერ მიღებული ნებისმიერი ინდივიდუალური ან/და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტ(ებ)ის რომელიმე პირობისა;

11.9.2. **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულების** დადებით **კლიენტი ბანკს** აძლევს წინასწარ, უპირობო და გამოუთხოვად უფლებას, რომ **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში **კლიენტის** მიერ ნებისმიერი **სოციალური სარგოს** მიღების მიზნით სხვა კომერციულ ბანკში საბანკო ანგარიშის გახსნის შემთხვევაში, **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების და დამატებითი ნებართვის გარეშე, მიმართოს ასეთ კომერციულ ბანკს და **კლიენტის** სახელით ჩართოს ავტომატური გადარიცხვების სერვისი ან სხვაგვარად მიმართოს **კლიენტის** ასეთ ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხები **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის**, პირგასამტეხლო(ები)ს ან/და **კლიენტზე** დაკისრებული ნებისმიერი სხვა გადასახდელ(ებ)ის სრულად დასაფარად.

(iii) *დამატებითი პირობა კრედიტით სარგებლობისათვის*

11.10. **ბანკის** მიერ **კრედიტის** თანხა გაცემულად, ხოლო **კლიენტის** მიერ მიღებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც **კრედიტის** თანხა ასახული იქნება/ჩაირიცხება **კლიენტის ანგარიშზე;**

11.11. **კრედიტის** თანხის ათვისების შემთხვევაში კრედიტის თანხაზე **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა დაიწყება **კრედიტის ანგარიშზე** ჩარიცხვის **კალენდარული დღიდან.**

(iv) *ოვერდრაფტის, კრედიტის და მათთან დაკავშირებული გადასახდელების დაფარვის ზოგადი წესი*

11.12. **ბანკის** მიერ **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის** გაცემის/გააქტიურების შემთხვევაში, **კლიენტის** მიერ თითოეული **პროდუქტის** დაფარვა უნდა განხორციელდეს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული მოცულობით, საშუალებითა და წესით. ამასთან, აღნიშნული დათქმა არ ზღუდავს **ბანკის** უფლებას მოსთხოვოს **კლიენტს ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის** დაფარვა სხვა საშუალებითა და წესით.

11.13. **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის** და მასთან დაკავშირებული გადასახდელების დაფარვის თანმიმდევრობა განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ და შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს.

11.14. თუ **კლიენტი** სრულად ან ნაწილობრივ არ დაფარავს დროულად და **ხელშეკრულებით** დადგენილი ოდენობით **ოვერდრაფტს** ან/და **კრედიტს** და მასთან დაკავშირებულ გადასახდელებს, **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, რომ **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

11.14.1. განახორციელოს **ბანკში კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე** არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და

11.14.2. **ბანკში** არსებული **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **ოვერდრაფტის, კრედიტის** და მასთან დაკავშირებული გადასახდელების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად / შესამცირებლად; ან/და

11.14.3. თუ გადასახდელი და **კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან.**

(v) *ოვერდრაფტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელების დაფარვის დამატებითი პირობები*

11.15. **კლიენტმა ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **ოვერდრაფტიდან** ათვისებულ თანხაზე დარიცხული **პროცენტი** უნდა დაფაროს **ოვერდრაფტის** ყოველი **დაფარვის თარიღზე.** ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში **ბანკს** უფლება აქვს ცალმხრივად შეაჩეროს **კლიენტისთვის ოვერდრაფტის** მოქმედება.

11.16. **ოვერდრაფტზე** დარიცხული **პროცენტის** დაფარვა განხორციელდება **ანგარიშზე** ყოველთვიურად ჩარიცხული იმ ტიპის **სოციალური სარგოს** თანხიდან, რომლის გათვალისწინებითაც მოხდა **ოვერდრაფტის** გაცემა. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** რაიმე მიზეზით შეუწყდა ან დროებით შეუჩერდა შესაბამისი **სოციალური სარგოს** ჩარიცხვა, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეაჩეროს **კლიენტისთვის** *ოვერდრაფტის** მოქმედება/გათიშოს **ოვერდრაფტის საკრედიტო ლიმიტი**, ხოლო /****ლიენტი** ვალდებულია დაფაროს **ოვერდრაფტი ანგარიშზე** შესაბამისი თანხის ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორებით ჩარიცხვის გზით - **ოვერდრაფტის ხელშეკრულებიდან** წარმოშობილი ყველა ვალდებულების სრულ დაფარვამდე.

11.17. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ოვერდრაფტის** გათიშვის/მოქმედების შეჩერების შემთხვევაში ის (**კლიენტი**), **ოვერდრაფტის** ხელახალი გააქტიურების მიზნით ვალდებულია ეწვიოს **ბანკის მომსახურების ობიექტს** ან მოახდინოს **ოვერდრაფტის** ხელახალი გააქტიურება **დისტანციური საბანკო მომსახურების არხის** მეშვეობით. ამასთან, **ოვერდრაფტის** გააქტიურება ხორციელდება მხოლოდ **ბანკის** შეხედულებისამებრ.

11.18. **კლიენტი** ვალდებულია სრულად დაფაროს **ოვერდრაფტი** და მასთან დაკავშირებული გადასახდელები **ბანკის** მიერ **ოვერდრაფტის** მოქმედების შეჩერებიდან მომდევნო **საბანკო დღეს**, წინააღმდეგ შემთხვევაში **ოვერდრაფტი** ჩაითვლება ვადაგადაცილებულად, ხოლო **ოვერდრაფტის საკრედიტო ლიმიტიდან** ათვისებული თანხა ჩაითვლება **ოვერლიმიტად** (არასანქცირებულ ნაშთად). ამასთან, **ოვერლიმიტს** დაერიცხება **ოვერდრაფტის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **პროცენტი** და **ოვერლიმიტის** დაფარვა განხორციელდება **ოვერდრაფტისათვის ხელშეკრულებით** განსაზღვრული წესით.

11.19. თუ **ბანკის** მიერ **ოვერდრაფტის** გათიშვის შედეგად **წარმოიშვება ოვერლიმიტი, კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, რომ **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

11.19.1. განახორციელოს **ბანკში კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე** არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და

11.19.2. **ბანკში** არსებული **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს თანხები აუცილებელი **ანგარიშზე** წარმოშობილი **ოვერლიმიტის** დასაფარად / შესამცირებლად; ან/და

11.19.3. თუ **ოვერლიმიტის** და **კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან.**

(vi) *კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელების დაფარვის დამატებითი პირობები*

11.20. **კრედიტის** დაფარვა განხორციელდება **კლიენტის ანგარიშზე** ყოველთვიურად ჩარიცხული იმ ტიპის **სოციალური სარგოს** თანხიდან, რომლის გათვალისწინებითაც მოხდა **კრედიტის** გაცემა. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** რაიმე მიზეზით შეუწყდა ან დროებით შეუჩერდა შესაბამისი **სოციალური სარგოს** ჩარიცხვა ან **სოციალური სარგო** ჩაერიცხა ნაკლები ოდენობით, **კლიენტი** ვალდებულია დაფაროს **კრედიტის ანგარიშზე** შესაბამისი ოდენობის თანხის ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორებით ჩარიცხვის გზით - **კრედიტის ხელშეკრულებიდან** წარმოშობილი ყველა ვალდებულების სრულ დაფარვამდე.

11.21. **კრედიტის** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვის თანმიმდევრობა შემდეგია: პირველ რიგში იფარება პროცენტი და შემდეგ **კრედიტის** თანხა. აღნიშნული რიგითობა განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ და შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს.

(vii) *კრედიტის ავტომატური რეფინანსირება/რესტრუქტურიზაცია*

11.22. **ბანკს** აქვს უფლება ნებისმიერ დროს მოახდინოს **კლიენტის კრედიტის** ავტომატური რეფინანსირება ან რესტრუქტურიზაცია. რა შემთხვევაშიც მოხდება **კლიენტის** წინასწარი ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე.

11.22.1. **კრედიტის** რეფინანსირების შემთხვევაში **კლიენტზე** ავტომატურად მოხდება ახალი **კრედიტის** გაცემა იმ მოცულობით, რომელიც საკმარისია არსებული **კრედიტის** თანხის და რეფინანსირების თარიღისათვის დარიცხული **პროცენტის** სრულად დაფარვისათვის. ამის შემდეგ, **ბანკი** მოახდენს **კლიენტის** არსებული **კრედიტის** და მასზე დარიცხული **პროცენტის** სრულად დაფარვას და არსებული **კრედიტის** გაუქმებას, ხოლო ახალი **კრედიტი** დაექვემდებარება დაფარვას **ხელშეკრულებაში** მითითებული პირობებით, კერძოდ: ა) **კრედიტის** წლიური საპროცენტო განაკვეთი დარჩება უცვლელად; ბ) **კრედიტის** თვიური შენატანი არ აღემატება **კლიენტის** იმ **სოციალური გასაცემელის** მესამედს, რომლის გათვალისწინებითაც გაიცა არსებული **კრედიტი** რომლის ავტომატური რეფინანსირებაც განხორციელდა ახალი **კრედიტით**; გ) ახალი **კრედიტის დაფარვის თარიღი** იქნება **კლიენტისათვის** პენსიის ჩარიცხვის თარიღი, ხოლო თუ პენსიის ჩარიცხვის თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, **დაფარვის თარიღად** განისაზღვრება მომდევნო სამუშაო დღე; დ) **კრედიტის** მოქმედების ვადა იქნება საკმარისი, რათა **კრედიტი** ამ ქვეპუნქტში მითითებული პირობებით დაიფაროს სრულად.

11.22.2. **კრედიტის** რესტრუქტურიზაციის შემთხვევაში **ბანკი** ცალმხრივად მოახდენს გრაფიკის ან/და საჭიროების შემთხვევაში **კრედიტის ხელშეკრულების** პირობების ცვლილებას, შემდეგი პირობების შესაბამისად: ა) **კრედიტის** წლიური საპროცენტო განაკვეთი დარჩება უცვლელად; ბ) **კრედიტის** თვიური შენატანი არ აღემატება **კლიენტის** იმ **სოციალური გასაცემელის** მესამედს, რომლის გათვალისწინებითაც გაიცა **კრედიტი**; გ) **კრედიტის დაფარვის თარიღი** იქნება **კლიენტისათვის** პენსიის ჩარიცხვის თარიღი, ხოლო თუ პენსიის ჩარიცხვის თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, **დაფარვის თარიღად** განისაზღვრება მომდევნო სამუშაო დღე; დ) **კრედიტის** მოქმედების ვადა იქნება საკმარისი, რათა **კრედიტი** ამ ქვეპუნქტში მითითებული პირობებით დაიფაროს სრულად.

11.23. **კლიენტი** აღიარებს და აცხადებს თანხმობას, რომ **ხელშეკრულება** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში მოახდინოს **კრედიტის** ავტომატური რეფინანსირება ახალი **კრედიტით** ან/და რესტრუქტურიზაცია. ის მხოლოდ განსაზღვრავს არსებული **კრედიტის** ახალი **კრედიტით** ავტომატური რეფინანსირების ან/და რესტრუქტურიზაციის მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **კრედიტის** ავტომატური რეფინანსირების შედეგად ახალი **კრედიტის** გაცემით ან/და რესტრუქტურიზაციის შედეგად **ბანკსა** და **კლიენტს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

(viii) *ოვერდრაფტის ავტომატური პროლონგირება*

11.23. **ოვერდრაფტის ავტომატური პროლონგირება** დასაშვებია, თუ აღნიშნული გათვალისწინებულია **ოვერდრაფტის ხელშეკრულებით**. ამასთან, **კლიენტი** აღიარებს და აცხადებს თანხმობას, რომ **ხელშეკრულება** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში მოახდინოს **ოვერდრაფტის** პროლონგირება, ის მხოლოდ განსაზღვრავს **ოვერდრაფტის** პროლონგირების მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **ოვერდრაფტის** პროლონგირების საფუძველზე **ბანკსა** და **კლიენტს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

(ix) ***ოვერდრაფტის ავტომატური რეფინანსირება კრედიტით***

11.24. **ბანკს** აქვს უფლება ნებისმიერ დროს მოახდინოს **კლიენტის ოვერდრაფტის** ავტომატური რეფინანსირება **კრედიტით,** რა შემთხვევაშიც მოხდება **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესით და ვადაში **კლიენტის** წინასწარი ინფორმირება. ასეთ შემთხვევაში **კლიენტისათვის** ავტომატურად მოხდება **კრედიტის** გაცემა იმ მოცულობით, რომელიც საკმარისია **ოვერდრაფტიდან** ათვისებული თანხის და **ოვერდრაფტზე კრედიტის** გაცემის თარიღისათვის დარიცხული **პროცენტის** სრულად დაფარვისათვის. ამის შემდეგ, **ბანკი** მოახდენს **კლიენტის ოვერდრაფტის** გაუქმებას, ხოლო **კრედიტი** დაექვემდებარება დაფარვას **ხელშეკრულებაში** მითითებული პირობებით, კერძოდ: ა) **კრედიტის** წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება **ოვერდრაფტის** წლიური საპროცენტო განაკვეთის ოდენობით; ბ) **კრედიტის** თვიური შენატანი არ აღემატება **კლიენტის** იმ **სოციალური გასაცემელის** მესამედს, რომლის გათვალისწინებითაც იყო გააქტიურებული **ოვერდრაფტი**, რომლის ავტომატური რეფინანსირებაც განხორციელდა აღნიშნული **კრედიტით**; გ) **კრედიტის დაფარვის თარიღი** იქნება იგივე რაც **ოვერდრაფტის პროცენტის დაფარვის თარიღი**; დ) **კრედიტის** მოქმედების ვადა იქნება საკმარისი, რათა **კრედიტი** ამ ქვეპუნქტში მითითებული პირობებით დაიფაროს სრულად. ამასთან, **კლიენტი** აღიარებს და აცხადებს თანხმობას, რომ **ხელშეკრულება** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში მოახდინოს **ოვერდრაფტის** ავტომატური რეფინანსირება **კრედიტით**, ის მხოლოდ განსაზღვრავს **ოვერდრაფტის კრედიტით** ავტომატური რეფინანსირების მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **ოვერდრაფტის** ავტომატური რეფინანსირების შედეგად **კრედიტის** გაცემით **ბანკსა** და **კლიენტს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

(x) ***მოქმედი ოვერდრაფტის თანხის შეცვლა (შემცირება ან გაზრდა)***

11.25. **ოვერდრაფტის** თანხის შეცვლა ითვალისწინებს ახალი, უფრო დიდი ან უფრო მცირე (მაგრამ არანაკლებ იმ **სოციალური სარგოს** ერთმაგი ოდენობისა, რომლის გათვალისწინებითაც მოხდა **ოვერდრაფტის** გაცემა/გააქტიურება) მოცულობის მქონე **ოვერდრაფტის** გაცემას/გააქტიურებას იმ პირობით, რომ **კლიენტის** მიერ სრულად არის გადახდილი არსებულ/მოქმედ **ოვერდრაფტთან** დაკავშირებული გადასახდელები;

11.26. **ოვერდრაფტის** თანხის შეცვლის დროს **ბანკსა** და **კლიენტს** შორის ფორმდება ახალი **ხელშეკრულება** (მათ შორის გარიგება იდება ელექტრონული ფორმით), რომლითაც ძალადაკარგულად ცხადდება იმავე საგანზე არსებული წინამორბედი **ოვერდრაფტის ხელშეკრულება**;

11.27. **ბანკს** აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ არ დაეთანხმოს **ოვერდრაფტის** თანხის გაზრდას, ასეთ შემთხვევაში, **ბანკი** არ არის ვალდებული განუმარტოს **კლიენტს** თავისი გადაწყვეტილების მიზეზ(ებ)ი. **ბანკი** ასევე უფლებამოსილია დამოუკიდებლად განსაზღვროს **ოვერდრაფტის** თანხის გაზრდის დასაშვები მოცულობა.

(xi) ***დაფარვის პრიორიტეტი.***

11.28. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე:

11.28.1. **ბანკმა,** საკუთარი არჩევანით, **კლიენტისგან** მიღებული ფულადი სახსრებიდან პირველ რიგში, სრულად ან ნაწილობრივ, დაფაროს წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ფულადი ვალდებულებები, მიუხედავად იმისა, რომ **კლიენტს ბანკის** წინაშე გააჩნია წინამდებარე **ხელშეკრულებისგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა); ან

11.28.2. **ბანკმა,** საკუთარი არჩევანით, არ განახორციელოს წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ფულადი ვალდებულებების დაფარვა, თუ **კლიენტს ბანკის** წინაშე გააჩნია წინამდებარე **ხელშეკრულებისგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა). **კლიენტის** მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრებით წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ფულადი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიფარება/შემცირდება **ბანკის** წინაშე არსებული **კლიენტის** ამ **ხელშეკრულებისაგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები.

## ნაწილი III - ზოგადი დებულებები

### 12. მომსახურების ტარიფები

12.22. **კლიენტის** და **ბანკის** ფინანსური ურთიერთობა სრულად რეგულირდება **ბანკის** მიერ დადგენილი **ტარიფებით**.

12.23. ნებისმიერი **პროდუქტით** ან/და მომსახურებით სარგებლობისას **კლიენტი ბანკს** უხდის მომსახურების საკომისიოს, რომელიც განისაზღვრება წინამდებარე **პირობებით**;

12.24. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** სარგებლობს ისეთი **პროდუქტით** ან/და მომსახურებით, რომლის საკომისიო არ არის დადგენილი წინამდებარე **პირობებით**, ასეთი პროდუქტის/მომსახურების საკომისიო განისაზღვრება **ბანკის** მიერ ასეთი პროდუქტისთვის/მომსახურებისთვის შესაბამისი დროის მომენტისთვის დადგენილი სტანდარტული **ტარიფების** შესაბამისად.

12.25. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მოქმედი **ტარიფები**. **ბანკის** მიერ დადგენილი **ტარიფების** ცვლილების შემთხვევაში, **კლიენტს** აღნიშნულის შესახებ ეცნობება წინასწარ პირადად ან **ბანკის** საინფორმაციო მასალების საშუალებით.

12.26. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის საბანკო ანგარიშიდან** უაქცეპტო წესით ჩამოწეროს მომსახურების **ტარიფები** და სხვა გადასახდელები.

12.27. **კლიენტის** და რომელიმე მომსახურების საკომისიოს (ასეთის არსებობისას) გადაუხდელობა **ბანკს** ანიჭებს უფლებას შეუჩეროს ან შეუწყვიტოს **პირობებით** განსაზღვრული პროდუქტებით სარგებლობის უფლება.

12.28. თუ **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული მომსახურების **ტარიფების** გადახდა განხორციელდება შემდეგი პრინციპით:

12.28.1. თუ მომსახურების **ტარიფების** (ასეთის არსებობისას) გადახდის თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, საკომისიოს ჩამოწერა (გადახდა) მოხდება მომდევნო **საბანკო დღეს**.

12.28.2. თუ მომსახურების **ტარიფების** (ასეთის არსებობისას) გადახდის თარიღი ემთხვევა კალენდარული თვის ბოლო დღეს, **ბანკი** მომსახურების **ტარიფების** ჩამოწერას განახორციელებს კალენდარული თვის ბოლო **საბანკო დღეს**.

12.28.3. მომსახურების **ტარიფების** (ასეთის არსებობისას) ერთი წლის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს **კლიენტის** დავალიანების აკუმულირება.

12.29. მომსახურების საკომისიოს დავალიანების დაფარვის შემდეგ **კლიენტს** აღუდგება სტანდარტული **ტარიფ(ებ)ი**.

12.30. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ დავალიანების არსებობის შემთხვევაში პირველ რიგში ხდება **ბანკის** მიერ **კლიენტის** ანგარიშ(ებ)იდან თანხის ჩამოწერა დავალიანების დასაფარად. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს **კლიენტს** უფლება განკარგოს დარჩენილი თანხა საკუთარი შეხედულებისამებრ.

12.31. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანების დაფარვის თანმიმდევრობა.

### 13. დავალების მიღების და შესრულების ვადები

13.22. **ბანკი** გადახდის ოპერაციას ახორციელებს გადამხდელის ან მიმღების მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი **დავალების** საფუძველზე. ამასთან, **დავალება** შეიძლება წარდგენილი იქნას მატერიალურ მატარიალური ან/და არამატერიალური-ელექტრონული ფორმით.

13.23. **დავალებას ბანკი** მიიღებს და შეასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელის ან მიმღების მიერ სრულად და ჯეროვნად შევსებული იქნება **ბანკის** მიერ მოთხოვნილი რეკვიზიტები.

13.24. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **ბანკის** მიერ **დავალების** მიღება ავტომატურად არ გულისხმობს გადახდის **ოპერაციის** შესრულებას და გადახდის **ოპერაცია** დაკავშირებულია შესაბამის ვადებთან, რომელიც დამოკიდებულია თავად **დავალების** შინაარსზე.

13.25. **ბანკის** მიერ **დავალებ(ებ)ის** მიღებისთვის დადგენილი დროის მონაკვეთი, აგრეთვე მიღებული **დავალებ(ებ)ის** განხორციელებისთვის საჭირო მაქსიმალური ვადები მოცემულია **ხელშეკრულების #3 დანართში.**

### 14. მხარეთა პასუხისმგებლობა

14.22. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.

14.23. მიუხედავად **პირობების** 14.22 პუნქტით განსაზღვრული გარანტიისა, **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

14.23.1. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკთან** არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის და არამარტო საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების (მათ შორის ასეთი საფრთხის არსებობის) შემთხვევაში დაბლოკოს **კლიენტის საბანკო ანგარიში**;

14.23.2. **კლიენტის ბანკში** არსებული ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **ოპერაციების** წარმოებისთვის და **საბანკო ანგარიშის** მომსახურებისთვის **ბანკში** დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, **სოციალური ავანსის** თანხები, **კანონმდებლობით** განსაზღვრული გადასახადები/გადასახდელები, შეცდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს ისინი **ბანკის** ან/და მესამე პირების წინაშე არსებული ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;

14.23.3. თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისთვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტს ანგარიშიდან**;
14.23.4. **ბანკის** წინაშე არსებული **კლიენტის** ვალდებულებები გაქვითოს **კლიენტის** წინაშე არსებულ **ბანკის** ნებისმიერ ვალდებულებაში.

## 15. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

15.22. იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკი** მოქმედებს **კლიენტის** დავალებით, - მომსახურების გაწევისას **კლიენტი** აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ზიანისგან, ზარალისგან, სასამართლო ხარჯებისგან, **კლიენტის** ან მესამე პირების მიერ (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დამატებითი ბარათის მფლობელებს**) წამოწყებული საჩივრისგან, ქმედებისგან ან სასამართლოში წარდგენილი საჩივრისგან, სარჩელისგან ან განაცხადისგან ასევე **კლიენტი** აუნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიშვა **პირობებით** განსაზღვრული მომსახურების გამოყენების შედეგად ან ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიქმნა **პირობებით** განსაზღვრული მომსახურების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციის შედეგად. **კლიენტი** აცხადებს, რომ აღნიშნული ოპერაციები განხორციელდება **ბანკის** მიერ მიღებული **დავალებების** და ავტორიზაციის შესაბამისად ამ **პირობების** ან/და სხვა შესაბამისი განსაკუთრებული პირობების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების ან მსგავსი ინსტრუმენტების მიხედვით. **კლიენტი** აგრეთვე აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ზარალის ანაზღაურების პირობები ძალაში დარჩება და **კლიენტისთვის** მავალდებულებელი იურიდიული ძალა ექნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება **პირობებით** განსაზღვრული მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა.
15.23. **კლიენტი** აცხადებს და თანახმაა, რომ მას შესაძლოა მოუწიოს ზარალის ანაზღაურების შესახებ დამატებითი ხელშეკრულებების, განცხადებების ან სხვა მსგავს დოკუმენტზე ხელმოწერა და მათი/მისი შესრულება, განსაკუთრებით კი ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებით, რომლებიც **წვდომის კოდ(ებ)ის** გამოყენებით განხორციელდა/განხორციელდება. ამგვარი დამატებითი ხელშეკრულებები, განცხადებები და მსგავსი საშუალებები დაემატება და არ გამორიცხავს აქ მოყვანილ **პირობებს** ზარალის ანაზღაურების შესახებ.
15.24. **პირობების** მიუხედავად, **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშვა **პირობებით** განსაზღვრულ მომსახურებასთან დაკავშირებით. ასევე გამორიცხულია **ბანკის** პასუხისმგებლობა ნებისმიერ ზარალზე ან ზიანზე, მოგების, ბიზნესის, შემოსავლის ან დაგეგმილი დანაზოგების დაკარგვაზე, რომელიც დაკავშირებულია **პირობებით** განსაზღვრულ მომსახურებებთან.
15.25. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული დებულებები ზარალის ანაზღაურების და ვალდებულებების შეზღუდვის შესახებ გავრცელდება **ბანკის** აღამასრულებელ პირებზე, დირექტორებზე, თანამშრომლებზე, წარმომადგენლებსა, აგენტებსა და **აფილირებულ პირებზეც**, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია **ბანკის** ან ზემოაღნიშნული **პირების** დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით ან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ამ **პირობების** დარღვევას).
15.26. **დისტანციური საბანკო მომსახურების** გამოყენებისას **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **დავალებაზე**, რომელსაც იგი გასცემს **ბანკზე** სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს მომსახურებით სარგებლობას. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას **დავალებაზე** ან აღნიშნული **დავალების** შევსებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც გაგზავნილი იყო მესამე პირის მიერ. **კლიენტმა** არ უნდა დატოვოს **დისტანციურ საბანკო მომსახურებასთან** დასაკავშირებელი მოწყობილობა უყურადღებოდ.
15.27. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე, თუ: (ა) **ბანკს** არ მიუღია **კლიენტის** მიერ გაგზავნილი **დავალება**; (ბ) **კლიენტმა ბანკს** მიაწოდა არასწორი ან/და არასრული ინფორმაცია; (გ) **კლიენტსა** და **ბანკს** შორის ინტერნეტით კავშირში ჩაერთო მესამე პირი.
15.28. წინამდებარე მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაშიც, სანამ **მხარეები** ერთმანეთის წინაშე ბოლომდე არ შეასრულებენ **ხელშეკრულებიდან** წარმოშობილ ვალდებულებებს.

## 16. გადასახადები

16.1. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოსთვის/პირისთვის საგადასახადო განაცხადის შეტანაზე ამ **პირობების** (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ინტერნეტბანკით მომსახურების პირობებს) შესაბამისად. **კლიენტი** აგრეთვე თავად არის პასუხისმგებელი გადაიხადოს ნებისმიერი გადაუხდელი გადასახადი (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს), ბეგარა, საბაჟო გადასახადი, რომელიც შეიძლება დაწესდეს ნებისმიერ ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას **საბანკო ანგარიშის** მართვასთან ან **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ან ყველა მომსახურებასთან მიმართებაში (ერთად, "საგადასახადო ვალდებულება"); ამასთანავე, **ბანკი** თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე ან ვალდებულებაზე, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტისგან** მიღებულ საკომისიო თანხასთან. თუ **კანონმდებლობით** გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერი ვალდებულების გადახდა შესაძლებელია თანხების დაკავებით, **ბანკი** ან/და ნებისმიერი **აფილირებული კომპანია** ამგვარი თანხის გადახდას ან ჩამოწერას **კლიენტის** ხარჯზე მოახდენს იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკი კლიენტს** გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას. თუ **კანონმდებლობის** შესაბამისად **ბანკს** ეკისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა **კლიენტის** საგადასახადო ვალდებულების გამო, **კლიენტი** დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს **ბანკს** ყველა ამგვარ ვალდებულებას იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია **ბანკის** რომელიმე ქვედანაყოფის დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით.
16.2. **ბანკი** ვალდებულია შესაბამისობაში იყოს მხოლოდ **კანონმდებლობით** და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. **კანომდებლობასთან** ერთად **კლიენტმა** უნდა დააკმაყოფილოს სხვა შესაბამისი ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნები (მოიცავს იმ ქვეყნის კანომდებლობას, რომლის მოქალაქეც არის **კლიენტი** ან რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს).
16.3. **კლიენტი** ვალდებულია არ გამოიყენოს **ანგარიში** ან/და პირობებში აღწერილი მომსახურება სამეწარმეო საქმიანობისთვის ან/და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნებისმიერი საქმიანობისთვის. ამასთან, **კლიენტის** მიერ სამეწარმეო საქმიანობის დაწყების და გადასახადის გამხდელ პირად რეგისტრაციის შემთხვევაში იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს.**

## 17. ხელშეკრულების ცვლილება

17.22. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტისათვის** წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად (**კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე) შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, ამასთან წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც:
17.22.1. **ხელშეკრულებით** ან **პირობებით** განსაზღვრული მომსახურების ტარიფების ცვლილება ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ;
17.22.2. **ხელშეკრულებაში** ან **პირობებში** ხორციელდება ახალი საგადახდო მომსახურების, საბანკო პროდუქტის ან **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხის დამატება, რომელიც არსებითად არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის **ხელშეკრულებაში** ან/და **პირობებში** არსებულ მომსახურებებს.
17.23. თუ **კლიენტი** არ დაეთანხმება **ბანკის** მიერ შეცვლილ პირობებს, იგი ვალდებულია ცვლილებების ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ **ბანკს,** წინააღმდეგ შემთხვევაში, ვადის ამოწურვის შემდგომ ჩაითვლება, რომ **კლიენტი** ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.
17.24. ცვლილებების მიღებაზე უარის დაფიქსირების შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **ხელშეკრულების** დაუყოვნებლივ შეწყვეტა, ამასთან თუ ასეთი მოთხოვნა არ არის დაფიქსირებული **კლიენტის** მხრიდან განცხადებაში, **ბანკი** უფლებამოსილია თავად შეწყვიტოს **ხელშეკრულების** მოქმედება ცვლილებების ამოქმედების თარიღიდან.
17.25. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული მიზეზით **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო **კლიენტი** ვალდებულია სრულად დაფაროს **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წინამდებარე **პირობებით** დადგენილი წესით. ამასთან, **ხელშეკრულების** შეწყვეტისათვის **კლიენტს** არ დაეკისრება რაიმე სახის საჯარიმო საკომისიო ან/და დამატებითი პირგასამტეხლო **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტისათვის.
17.26. **ხელშეკრულებაში** ცვლილებების შესახებ **კლიენტის** ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) განხორციელდება შეცვლილი **პირობების** ტექსტის **ბანკის** ვებგვერდზე - http://libertybank.ge განთავსების გზით. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ინფორმირება დაგეგმილი ან არსებული ცვლილების შესახებ მოახდინოს წინამდებარე **პირობების** მე-20 მუხლით განსაზღვრული კომუნიკაციის ერთი ან რამდენიმე ფორმით. **კლიენტი** თავად არის ვალდებული პერიოდულად შეამოწმოს **ბანკის ვებ-გვერდი** და გაეცნოს **პირობებში** ცვლილებებს.

## 18. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

18.22. მას შემდეგ, რაც **კლიენტს პირობების** შესაბამისად გაეხსენება **საბანკო ანგარიში** და გადაეცემა **ბარათი**, ძალაში შედის **პირობების** I და III ნაწილები, მე-4 და მე-5 მუხლები, ხოლო თუ **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **პირობების** დანარჩენი მუხლები ძალაში შედის **კლიენტის** მიერ შესაბამისი **განაცხადის** შევსების, ხელისმოწერის და **ბანკის** მიერ აღნიშნული **განაცხადის** დათანხმების საფუძველზე.
18.23. **პირობები** ძალაშია **პროდუქტის** მოქმედების ვადით და მოქმედებს მის შეწყვეტამდე ამ **პირობებით** განსაზღვრული წესის შესაბამისად.
18.24. **პროდუქტის** მოქმედების შეწყვეტის შემდეგ მისი მოქმედების განახლების შემთხვევაში **პროდუქტზე** გავრცელდება წინამდებარე **პირობები**, ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე.
18.25. თუ **ბანკი** ან/და **კლიენტი** გადაწყვეტენ შეწყვიტონ რომელიმე **პროდუქტით** მომსახურება, შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ძალაში იქნება მხოლოდ მითითებულ **პროდუქტთან** დაკავშირებით.

18.26. თუ წინამდებარე **პირობებით,** მათ შორის ანგარიშის დახურვის მუხლით, ან საქართველოს **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ბანკს** უფლება აქვს შეწყვიტოს მთლიანი **ხელშეკრულება** ნებისმიერ დროს. ასეთ შემთხვევაში **ბანკი კლიენტს** გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას, **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე სულ მცირე 1 (ერთი) თვით ადრე.

18.27. თუ **კლიენტი** დაარღვევს **ხელშეკრულების** მნიშვნელოვან პირობას ან მის გადახდისუნარიანობას შეექმნება საფრთხე, **ბანკი** შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით უარს განუცხადებს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე და გააუქმებს **ხელშეკრულებას**, **ბარათს**, დახურავს **კლიენტის საბანკო ანგარიშს**, გააუქმებს ამ **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მომსახურებას (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დისტანციურ საბანკო მომსახურებას**) და მოითხოვს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვას.

18.28. **კლიენტის** მიერ **საბანკო ანგარიშით** მომსახურების შეწყვეტის ან ამ **საბანკო ანგარიშის** დახურვის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია შეუწყვიტოს **კლიენტს** წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ნებისმიერი ან ყველა მომსახურება.

18.29. **კლიენტს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს **ხელშეკრულება ბანკისთვის** 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ამასთან, **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში **ხელშეკრულება** შესაძლებელია შეწყდეს აღნიშნულ ვადაზე ადრეც.

18.30. **კლიენტი** აცნობიერებს და თანახმაა, რომ **ხელშეკრულება** არ შეწყდება მანამ, სანამ **კლიენტი** არ შეწყვეტს ისეთ განგრძობად ოპერაციებსაც (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ავტომატურ გადარიცხვებს, განმეორებად ოპერაციებს და განგრძობად ავტორიზაციას, რომელიც **კლიენტმა** გასცა საქონლის ან მომსახურების მომწოდებელზე და რაც გულისხმობს მისი **საბანკო** ანგარიშიდან თანხის რეგულარულად ჩამოწერას), რომლებიც **კლიენტის დავალების** საფუძველზე ხორციელდება მისივე **საბანკო ანგარიშიდან**.

18.31. თუ რომელიმე **მხარე** გადაწყვეტს **ხელშეკრულების** შეწყვეტას, მაშინ: ყველა **ბარათი**, რომელიც **ბანკმა** გასცა **კლიენტზე** ან **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ზე**, უნდა დაუბრუნდეს **ბანკს**; ყველა **წვდომის კოდ(ებ)ი** გაუქმდეს; **კლიენტმა ბანკს** უნდა გადაუხადოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა გადასახდელი თანხა.

18.32. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში, მომსახურების ტარიფების გადახდა უნდა განხორციელდეს მხოლოდ გაწეული საგადახდო მომსახურების პერიოდის პროპორციულად, ამასთან თუ ტარიფებით განსაზღვრული რომელიმე რეგულარული/პერიოდული საკომისიო გადახდილია წინასწარ, **ბანკი** უზრუნველყოფს ზედმეტად გადახდილი თანხის **კლიენტისთვის** დაბრუნებას.

18.33. თუ **ხელშეკრულების** შეწყვეტა **კლიენტის** მიერ განხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 12 (თორმეტი) თვის გასვლამდე, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დააკისროს **ხელშეკრულების** შეწყვეტასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულება, იმ მოცულობით, რა მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს **ხელშეკრულების** შეწყვეტიდან გამომდინარე **ბანკის** მიერ გასაწევ რეალურ ხარჯს.

18.34. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ **კლიენტის** ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) განხორციელდება წინამდებარე **პირობების** მე-20 მუხლით განსაზღვრული კომუნიკაციის რომელიმე ფორმით.

*18.35. <u>სოციალური ავანსის ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები</u>*

18.36. **სოციალური ავანსის ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა შესაძლებელია:

18.36.1. **ბანკის** მიერ, თუ **კლიენტი** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **სოციალური ავანსის ხელშეკრულებით** ან წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, განცხადებებს და გარანტიებს, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);

18.36.2. **ბანკის** მიერ, თუ **ავანსით** სარგებლობისას **კლიენტი** ვერ გადაიხდის **სოციალური ავანსის ხელშეკრულებიდან** წარმოშობილი ვალდებულების თანხის ნებისმიერ ნაწილს და ასეთი გადაუხდელობა გაგრძელდება 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში (**ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დღის (შაბათ-კვირის ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც **ბანკი** ახორციელებს საბანკო მომსახურებას, შემდგომში - **საბანკო დღე**);

18.36.3. **ბანკის** მიერ, თუ **კლიენტი** ვერ შეასრულებს ან ვერ დაიცავს **სოციალური ავანსის ხელშეკრულებით** დადგენილ ნებისმიერ ვალდებულებას ან **კლიენტსა** და **ბანკს** შორის არსებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას და ასეთი შეუსრულებლობა გაგრძელდება 15 (თხუთმეტი) **საბანკო დღის** განმავლობაში;

18.36.4. **ბანკის** მიერ, თუ გაუარესდება გლობალური ან/და რეგიონალური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარება;

18.36.5. **ბანკის** მიერ, თუ **კლიენტი კანონმდებლობის** საფუძველზე განახორციელებს **ბანკისათვის** მინიჭებული რომელიმე უფლების გამოხმობას;

18.36.6. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;

18.36.7. **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18.37. **კლიენტის** მიერ **სოციალური ავანსის ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, **კლიენტის** მიერ აღნიშნული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, **ბანკი** უფლებამოსილია უარი განაცხადოს **ბანკის** მიერ **სოციალური ავანსის ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების შესრულებაზე.

18.38. **ბანკის** ინიციატივით **სოციალური ავანსის ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მიერ მითითებულ ვადაში, ხოლო ასეთი ვადის არ არსებობისას 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, სრულად დაფაროს **სოციალური ავანსის ხელშეკრულების** ფარგლებში **ბანკის** წინაშე დარჩენილი ყველა დავალიანება და გადასახდელი.

18.39. **სოციალური ავანსის ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **კლიენტს სოციალური ავანსის ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებით ან ნებაყოფლობით შესრულებამდე.

*18.40.* **სოციალური ავანსის ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში **ბანკი** თავისუფლდება **სოციალური ავანსის ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

***18.41.* <u>*ჩარიცხვამდე მიღებული პენსიის მომსახურების, ოვერდრაფტის, კრედიტის შეწყვეტის პირობები*</u>**

18.42. **ჩარიცხვამდე მიღებული პენსიის, ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა შესაძლებელია:

18.42.1. **ბანკის** მიერ, თუ **კლიენტი** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **ჩარიცხვამდე მიღებული პენსიის მომსახურების** ან/და **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულებით** ან წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, განცხადებებს და გარანტიებს, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);

18.42.2. **ბანკის** მიერ, თუ **ჩარიცხვამდე მიღებული პენსიის მომსახურებით** ან/და **ოვერდრაფტით** ან/და **კრედიტით** სარგებლობისას **კლიენტი** ვერ გადაიხდის შესაბამისი **ხელშეკრულებიდან** წარმოშობილი ვალდებულების თანხის ნებისმიერ ნაწილს და ასეთი გადაუხდელობა გაგრძელდება 15 (თხუთმეტი) **საბანკო დღის** განმავლობაში (**ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დღის (შაბათ-კვირის ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც **ბანკი** ახორციელებს საბანკო მომსახურებას, შემდგომში - **საბანკო დღე**);

18.42.3. **ბანკის** მიერ, თუ **კლიენტი** ვერ შეასრულებს ან ვერ დაიცავს **ჩარიცხვამდე მიღებული პენსიის მომსახურების** ან/და **ოვერდრაფტის** ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილ ნებისმიერ ვალდებულებას ან **კლიენტსა** და **ბანკს** შორის არსებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას და ასეთი შეუსრულებლობა გაგრძელდება 15 (თხუთმეტი) **საბანკო დღის** განმავლობაში;

18.42.4. **ბანკის** მიერ, თუ გაუარესდება გლობალური ან/და რეგიონალური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარება;

18.42.5. **ბანკის** მიერ, თუ **კლიენტი კანონმდებლობის** საფუძველზე განახორციელებს **ბანკისათვის** მინიჭებული რომელიმე უფლების გამოხმობას;

18.42.6. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;

18.42.7. **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18.43. **კლიენტის** მიერ **ჩარიცხვამდე მიღებული პენსიის, ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის პირობებით/ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, **კლიენტის** მიერ აღნიშნული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, **ბანკი** უფლებამოსილია უარი განაცხადოს **ბანკის** მიერ თითოეული ამ **პროდუქტისათვის/მომსახურებისათვის ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების შესრულებაზე.

18.44. **ბანკის** ინიციატივით **ჩარიცხვამდე მიღებული პენსიის** მომსახურების, **ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მიერ მითითებულ ვადაში, ხოლო ასეთი ვადის არ არსებობისას 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, სრულად დაფაროს **ჩარიცხვამდე მიღებული პენსიის მომსახურების, ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულების** ფარგლებში **ბანკის** წინაშე დარჩენილი ყველა დავალიანება და გადასახდელი.

18.45. **ჩარიცხვამდე მიღებული პენსიის მომსახურების, ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში, **პროცენტის** (ასეთის არსებობისას) და **პირგასამტეხლოს** (ასეთის არსებობისას) დარიცხვა გაგრძელდება/შენარჩუნდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად და **კლიენტი** ვალდებული იქნება სხვა გადასახდელებთან ერთად **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების ნებაყოფლობით ან/და იძულებით აღსრულების წესით სრულად დაფარვის დროს, **ბანკის** წინაშე ასევე დაფაროს **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემდგომ დარიცხული **პირგასამტეხლოს** და **პროცენტის** თანხები;

18.46. **ჩარიცხვამდე მიღებული პენსიის მომსახურების, ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებით ან ნებაყოფლობით შესრულებამდე.

*18.47.* **ჩარიცხვამდე მიღებული პენსიის მომსახურების, ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში **ბანკი** თავისუფლდება **ჩარიცხვამდე მიღებული პენსიის მომსახურების, ოვერდრაფტის** ან/და **კრედიტის ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

## 19. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

19.22. წინამდებარე **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
19.23. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება **ხელშეკრულების** ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება **მხარეებს** შორის მოლაპარაკების საფუძველზე.
19.24. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** ადგილსამყოფელის მიხედვით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

## 20. კომუნიკაცია

20.22. **ბანკის** მიერ **კლიენტთან** კომუნიკაცია ხორციელდება, როგორც წერილობითი ასევე ზეპირი ფორმით, ხოლო **კლიენტის** მიერ **ბანკთან** კომუნიკაცია მხოლოდ წერილობითი ფორმით.
20.23. წერილობითი ფორმით კომუნიკაციისას შეტყობინება უნდა მიეწოდოს **მხარეს ხელშეკრულებაში** ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში, **განაცხადებში** მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), **ინტერნეტბანკინგის, მობილ-ბანკის** ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:
20.23.1. **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;
20.23.2. **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტისთვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **კლიენტის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი **პირისთვის** ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;
20.23.3. **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;
20.24. **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), ინტერნეტბანკინგის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს, ხოლო **ბანკის** ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას, ინფორმაციის განთავსების დღეს.
20.25. იმ შეთხვევაში თუ **კლიენტი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის **ხელშეკრულებაში** არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე ან გაგზავნილი შეტყობინება ვერ ჩაბარდება **კლიენტის** მისამართზე არყოფნის მიზეზით ზედიზედ ორჯერ, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.
20.26. თუ **ხელშეკრულებაში** არ არის მითითებული **კლიენტის** საკონტაქტო მონაცემ(ებ)ი ან შეტყობინება ზედიზედ მეორე მცდელობის შემდეგ ვერ ჩაბარდება ადრესატს, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება მოახდინოს **კლიენტის** ინფორმირება საჯარო პუბლიკაციის გზით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ინტერნეტის საშუალებით ან სხვა ფორმით). აღნიშნული ქმედება არ ჩაითვლება პერსონალურ მონაცემთა დარღვევად და წინამდებარე **ხელშეკრულება** განიხილება როგორც **კლიენტის** თანხმობა მისი მონაცემების ამ მიზნით და მოცულობით დამუშავების თაობაზე.
20.27. **მხარეთა** შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაცია განახორციელოს **კლიენტისთვის** მისაღებ სხვა ენაზეც.
20.28. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტთან** კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნით. შესაბამისად, **კლიენტისთვის** განკუთვნილი შეტყობინება (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) შესაძლოა ატარებდეს (ა) საინფორმაციო/ტრანზაქციულ (მაგალითად ინფორმაცია **კლიენტის** ანგარიშზე შესრულებული ოპერაციების შესახებ, **წვდომის კოდების კლიენტისთვის** მიწოდება, გადახდის გრაფიკის შეხსენება და სხვა), (ბ) სახელშეკრულებო-ვალდებულებით (მაგალითად, გაფრთხილება დავალიანების არსებობის თაობაზე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და სხვა), (გ) მარკეტინგულ (მაგალითად, ახალი კრედიტის ან პროდუქტის შეთავაზება და სხვა) ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შინაარსს.
20.29. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაციისას გამოიყენოს **ბანკში კლიენტის**, ან მისი თანხმობით მესამე პირების მიერ **კლიენტის** შესახებ დაფიქსირებული, ან თავად **კლიენტის** მიერ მესამე პირების შესახებ მითითებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი. ერთი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაფიქსირებული **კლიენტის** ან/და მესამე პირ(ებ)ის საკონტაქტო მონაცემები (მიუხედავად იმისა მოქმედია თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება), **ბანკის** მიერ შესაძლებელია გამოყენებული იქნას, ამავე ან/და **ბანკის** სხვა **კლიენტის ბანკთან** არსებული სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში კომუნიკაციის მიზნით და პირიქით.
20.30. **კლიენტის** თავად არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საკონტაქტო მონაცემების გამოყენებისას კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად. თუ **კლიენტს** არ სურს **ბანკმა** ისარგებლოს რომელიმე საკონტაქტო მონაცემით, **კლიენტმა** აღნიშნული მოთხოვნით **ბანკს** უნდა მიმართოს წერილობით.

## 21. კონფიდენციალური ინფორმაცია და პერსონალური მონაცემები

21.22. *მონაცემების დამუშავება*. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკი** უფლებამოსილია, წინამდებარე **პირობების** 21.10 პუნქტში მოცემული მიზნებით, განახორციელოს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის **კლიენტის** პერსონალური მონაცემების, დამუშავება.
21.23. **ბანკის** მიერ **მონაცემთა დამუშავება,** ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, მათ შორის, მონაცემების **კლიენტისაგან,** საჯაროდ ხელმისაწვდომი წყარო(ები)დან ან/და წინამდებარე **პირობებში** მითითებული **მესამე პირ(ებ)ისაგან** მოპოვებას, შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას (მათ შორის ინფორმაციის წინამდებარე პირობებში მითითებული მიზნებით მესამე პირებისთვის გამჟღავნებას) მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას.
21.24. **ბანკის** ან/და წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი **მესამე პირების** (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **ბანკის** შეკვეთით უფლებამოსილი პირების) მიერ ხორციელდება **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის შესახებ არსებული ინფორმაციის **დამუშავება** წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მიზნებისათვის, რაც შესაძლოა მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგი ინფორმაციის (მათ შორის **პერსონალური მონაცემების**) დამუშავებით:
(ა) **კლიენტის** სახელი და გვარი;
(ბ) დაბადების ადგილი და თარიღი;
(გ) პირადი ნომერი ან/და მისი ელექტრონული პირადობის მოწმობის უნიკალური მახასიათებლები, ფოტოსურათი/ვიზუალური გამოსახულება;
(დ) მოქალაქეობა;
(ე) სქესი;
(ვ) რეგისტრირებული ან/და ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი;
(ზ) ტელეფონის/მობილურის ნომერი;
(თ) ელექტრონული ფოსტის მისამართი;
(ი) ინფორმაცია შემოსავლების შესახებ და საკრედიტო ისტორია (როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური, მათ შორის მიმდინარე ან/და წარსულში არსებული დავალიანების, სესხებისა და მათი დაფარვის დეტალები) და გადახდისუნარიანობის სტატუსი (**კლიენტის** გადახდისუნარიანობის შეფასების ქულა, მისი კრიტერიუმები ან/და მეთოდოლოგია);
(კ) **კლიენტის** საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები და მათი მახასიათებლები, ასევე სხვა აქტივები;
(ლ) დამსაქმებლის მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია დასაქმების პირობების შესახებ (დასაქმების ადგილი, ხელფასი, სამუშაო გრაფიკი და სხვა);
(მ) **ბანკში** და საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში ანგარიშ(ებ)ის შესახებ ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ანგარიშებზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთები, და კონკრეტულ პერიოდში ამ ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციები;
(ნ) **ბანკის** ან/და საქართველოში მოქმედი სხვა კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული ბარათების და შესაბამისი საბარათე ანგარიშების ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ბარათებზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთები და კონკრეტულ პერიოდში ამ ბარათებზე განხორციელებული ტრანზაქციები, ასევე მათი წვდომის კოდები;
(ო) სხვადასხვა საგადახდო პროვაიდერებთან დაფიქსირებული **კლიენტის** ანგარიშის/აბონენტის მონაცემები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ანგარიშის/აბონენტის ნომერი, მისამართი, სააბონენტო ანგარიშზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთი ან/და დავალიანება, სააბონენტო ანგარიშზე განხორცილებული ტრანზაქციები ან/და ბალანსის შევსება ან/და დავალიანების დაფარვა, და სხვა),
(პ) სხვადასხვა ელექტრონულ არხებში ან/და ინტერნეტ სივრცეში გამჟღავნებული ნებისმიერი მონაცემი (მათ შორის და არამარტო მზა ჩანაწერები ე.წ. cookies და სხვა) და კლიენტისა ან/და მას მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის აქტივობა აღნიშნულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ასეთ არხ(ებ)ში დალოგინებისა და ჩატარებული ქმედებებისა თუ ტრანზაქციების ისტორია);

(ჟ) ინფორმაცია ოჯახის წევრების, ნათესავების ან მისამართზე მცხოვრები სხვა პირების შესახებ;
(რ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ადმინისტრაციულ სახდელდადებული ფიზიკური და იურიდიული პირებისა ან/და შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებების (ადმინისტრაციული სახდელების ან/და დაკისრებული ჯარიმებისა და დარიცხული საურავების) შესახებ მონაცემები **კლიენტის** თაობაზე;
(ს) საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია;
(ტ) ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება **კლიენტს** და რის შედეგადაც შესაძლებელია **კლიენტის** იდენტიფიცირება ან/და დახასიათება ან/და სხვა კლიენტებთან მისი დაჯგუფება პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებითა თუ ზემოთ მოყვანილ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ან ნაგულისხმები ტრანზაქციული აქტივობით.

21.25. თუ **კლიენტი,** მომსახურების მიღების მიზნით, **ბანკს** აწვდის მესამე პირების (**დამატებითი ბარათის** მფლობელი, თავდები პირი, ოჯახის წევრები, დამსაქმებელი და სხვა) შესახებ ინფორმაციას, მათ შორის და არამარტო ინფორმაციას პერსონალური მონაცემების, გადახდისუნარიანობის, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და სხვა, ხოლო **ბანკი** ახორციელებს აღნიშნული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, დამუშავებას საბანკო მომსახურების შესრულებისთვის ან/და მარკეტინგული მიზნით, **კლიენტი** თავად არის ვალდებული მოპოვებული ჰქონდეს აღნიშნულ პირთა თანხმობა, მათი პერსონალური მონაცემების **ბანკის** მიერ დამუშავებაზე. **კლიენტის** მიერ ამგვარი ინფორმაციის **ბანკისთვის** (ან მისი უფლებამოსილი პირისთვის) მიწოდების ფაქტი გულისხმობს **კლიენტის** მიერ ამ პიროვნებისგან თანხმობის მოპოვებას და აღარ საჭიროებს **ბანკის** მიერ ასეთი დასტურის მოპოვებას. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგენს **ბანკს კლიენტის** მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. **კლიენტი** თანახმაა აუნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

*21.26.* **ბანკის** მიერ ელექტრონულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები, **LB PAY აპარატები, ბანკომატები** ან/დამონაცემთა გადაცემისა და მიღების სხვა ტექნიკური საშუალებები და არხები) **კლიენტის** შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს **კლიენტის** აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას **კლიენტის** ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, ძიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერი სტატისტიკური მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და **კლიენტის** მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. **კლიენტის** ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

21.27. **ბანკი** უფლებამოსილია საბანკო მომსახურების გაწევისა და სერვისების ოპტიმიზაციის მიზნით, სწრაფი გადახდის ტერმინალის (**LB Pay აპარატის**) ან/და დისტანციური მომსახურების სხვა არხ(ებ)ის საშუალებით, **კლიენტის** პირადი ნომრით ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა მეთოდით იდენტიფიკაციის შემთხვევაში, **კლიენტისათვის** ხელმისაწვდომი გახადოს შეზღუდული ინფორმაცია მის (**კლიენტის**) საბანკო პროდუქტებზე, სესხ(ებ)ის მიმდინარე (ყოველთვიურ) დავალიანებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მთლიანი სასესხო დავალიანების ჩვენების გარეშე, ასევე შეზღუდული ინფორმაცია **ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური** ბარათ(ებ)ის შესახებ **ბარათის/ანგარიშ(ებ)ის** მონაცემების არასრული ინფორმაციის ჩვენებით;

21.28. **ბანკი** პასუხს არ აგებს მესამე პირ(ებ)ის მიერ სწრაფი გადახდის ტერმინალის (**LB Pay აპარატის**) / **ბანკომატ(ებ)ის** ან/და **დისტანციური მომსახურების** სხვა **არხ(ებ)ის** მეშვეობით, **კლიენტის** იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაციის (პირადი ნომერი ან/და დაბადების თარიღი) სწრაფი გადახდის ტერმინალში (**LB Pay აპარატში**) / **ბანკომატში** შეყვანით, **კლიენტის** შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე.

21.29. *<u>მონაცემთა დამუშავების საფუძველი.</u>* კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე, სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკის** მიერ **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის მონაცემების (მათ შორის **პერსონალური მონაცემების) დამუშავება** ხორციელდება სულ მცირე ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლით:

21.29.1. **კლიენტის** თანხმობით მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებასთან დაკავშირებით;
21.29.2. **კლიენტის** განცხადების განსახილველად ან/და მისთვის მომსახურების გასაწევად;
21.29.3. **ბანკის** ან/და **მესამე პირ(ებ)ის** კანონიერი ინტერესების დასაცავად;
21.29.4. **ბანკის** მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
21.29.5. საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის;
21.29.6. კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

21.30. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, კანონმდებლობა ითხოვს **კლიენტის** თანხმობის არსებობას, აღნიშნულ თანხმობად ჩაითვლება აქტიური მოქმედებით, ნებისმიერი ელექტრონული ან/და არაელექტრონული ფორმით გამოხატული ნება/განაცხადი, რომლითაც **კლიენტი** ეთანხმება შესაბამის პირობებს და რომელიც ამ განაცხადთან ერთად წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას.

*21.31.* *<u>მონაცემების დამუშავების მიზანი</u>*. **ბანკის** ან/და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი **მესამე პირ(ებ)ის** მიერ **კლიენტის** ან/და მის მიერ მითითებული მესამე პირების პერსონალური მონაცემების **დამუშავება** შესაძლებელია განხორციელდეს სხვა და სხვა მიზნით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე:

21.31.1. საბანკო მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;
21.31.2. პროდუქტების და სერვისის მისაწოდებლად, მათ შორის დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (სწრაფი გადახდის აპარატი, ბანკომატი და ა.შ.) **კლიენტისათვის** შესაბამისი მომსახურების გაწევისთვის/შეთავაზებების უზრუნველსაყოფად;
21.31.3. **კლიენტის** სათანადო იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციასათვის და მონაცემთა პერიოდული განახლების უზრუნველსაყოფად;
21.31.4. საკრედიტო რისკების შეფასებისთვის, **კლინტის** გადახდისუნარიანობის შემოწმებისა და ანალიზისთვის;
21.31.5. **კლიენტთან** კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვისათვის, მათ შორის, მის განცხადებებზე, მიმართვებსა თუ პრეტენზიებზე სათანადო და დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად.
21.31.6. **კლიენტის** საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ან სხვა მსგავსი საკრედიტო-სარეიტინგო კომპანიის მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის და საკრედიტო სარეიტინგო ქულის გამოთვლის მიზნით, რომელიც დაკავშირებულია გადაუხდელი სესხებისა და სხვა შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან და ასევე ინფორმაციის შეგროვებასთან, დამუშავებასა და გავრცელებასთან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და გადახდილი კრედიტების/ვალდებულებების შესახებ.
21.31.7. **კლიენტის** მიერ eMoney ელექტრონული საფულით სარგებლობისთვის (ასეთის არსებობისას), რომელიც წარმოადგენს **ბანკის** და eMoney-ს ერთობლივ მომსახურებას, რომლის გამოყენებითაც ბანკისა და eMoney-ს **კლიენტს,** მოთხოვნის შემთხვევაში, ეძლევა საშუალება იქონიოს eMoney ელექტრონული საფულე კონკრეტული მომენტისთვის შესაძლო ვალუტაში(ებში), საიდანაც უფლებამოსილია აწარმოოს ანგარიშსწორება ან/და გადახდები, მიიღოს თანხები ელექტრონულ საფულეზე ან/და განახორციელოს კანონით ან/და შესაბამისი პირობებით გათვალისწინებული და ნებადართული სხვა მოქმედებები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, გამოიყენოს მისი eMoney საფულის ანგარიში (ან/და მობილური ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი) ავტორიზაციისთვის ისეთ ვებ გვერდებზე სადაც eMoney-თ ავტორიზაცია დაშვებულია.
21.31.8. **ბანკის** ან/და **მესამე პირის** კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით, შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით განსაზღვრულ ან/და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის, მათ შორის **კლიენტის** პერსონალური მონაცემების, სადაზღვევო კომპანიების, აუდიტორული კომპანიების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, ასევე მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსთვის ხელმისაწვდომობისთვის;
21.31.9. **ბანკის** კანონიერი ინტერესის დაცვისა და სამართლებრივი უფლებების რეალიზაციის მიზნით, მათ შორის **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში;
21.31.10. **ბანკის** მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც **ბანკი** ახორციელებს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;
21.31.11. სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრეზენტაციების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;
21.31.12. თაღლითობის ან/და შესაძლო თაღლითობის, ფულის გათეთრების და სხვა დანაშაულის პრევენციისათვის, გამოვლენისთვის, მოკვლევისთვის, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ხელშესაწყობად;
21.31.13. არსებული კრედიტის ფარგლებში, კრედიტის თანხის ოდენობის გაზრდის ან/და კრედიტის სხვა პირობების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მისი ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შეთავაზებისთვის, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის **კლიენტის** საკრედიტო ისტორიის/გადახდისუნარიანობის/შემოსავლების გადამოწმება წამოადგენს;
*21.31.14.* ახალი ან/და დამატებითი საკრედიტო ან არასაკრედიტო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის **კლიენტის** საკრედიტო ისტორიის/გადახდისუნარიანობის/შემოსავლების გადამოწმება წარმოადგენს;
*21.31.15.* მარკეტინგული აქტივობების წარმართვის მიზნით, რაც გულისხმობს, როგორც **ბანკის,** ასევე წინამდებარე პირობებში მითითებული **მესამე პირების** მიერ სხვადასხვა პროდუქტების/მომსახურების პერიოდულ შეთავაზებას;
*21.31.16.* სხვა კანონიერი მიზნებისთვის ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად.

21.32. *<u>ინფორმაციის მესამე პირ(ებ)ისთვის გადაცემა/მესამე პირ(ებ)ისაგან ინფორმაციის გამოთხოვა</u>*.

21.32.1. **ბანკი** მკაცრად იცავს **კლიენტის** და მის მიერ დასახელებული მესამე პირების (ნებისმიერი **დამატებითი ბარათის** მფლობელი, თავდები და სხვა) შესახებ

არსებული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, კონფიდენციალურობას, ამასთან, **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკი,** უფლებამოსილია მონაცემთა დამუშავების ფარგლებში წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი **მესამე პირ(ებ)ისთვის** (კონკრეტული საჭიროების შესაბამისად) განახორციელოს მონაცემთა გადაცემა ან/და თავად ასეთი პირ(ებ)ისაგან **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაციის, მათ შორის **პერსონალური მონაცემების** გამოთხოვა იმ მოცულობით რაც აუცილებელია წინამდებარე **პირობებით** ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისათვის.

21.32.2. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკი** უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს **ბანკისთვის** აუცილებელი, **კლიენტის** პერსონალური მონაცემები.

**კლიენტი** გამოხატავს თანხმობას და უფლებას აძლევს **ბანკს** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის, **კანონმდებლობით** დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშაოს **ბანკში** დაცული ან/და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროებში (შემდგომში - **ბიურო**) არსებული ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ. ამასთან **კლიენტისათვის** ცნობილია, რომ **ბანკი კანონმდებლობით** განსაზღვრული და **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეაგროვებს/დაამუშავებს **კლიენტის** შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია **ბიუროსათვის** ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება **ბიუროში** ჩართული მომხმარებლებისათვის **კანონმდებლობით** დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები). ასევე **კლიენტს** გაცნობიერებული აქვს **კანონმდებლობით** გათვალისწინებული უფლებები, რომ **კლიენტის** (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

21.11.14. **ბიუროსათვის** გადასაცემი და **ბიუროდან** მისაღები ინფორმაცია განისაზღვრება **კანონმდებლობით** და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეიძლება მოიცავდეს: **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, **ხელშეკრულებისა** და კრედიტის მონაცემებს, ინფორმაციას **კლიენტის** მიმდინარე, შესრულებული/შესრულებული ვალდებულებების მოცულობის და ვადების შესახებ, ინფორმაციას უზრუნველყოფის საშუალებების თაობაზე, თავდებობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სხვა ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრულია **კანონმდებლობით** ან/და **ბანკსა** და **ბიუროს** შორის გაფორმებული **ხელშეკრულებით**.

21.11.15. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკი**, **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის, უფლებამოსილია სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს (ს/ნ 204470740) მეშვეობით მრავალჯერადად მიიღოს და დაამუშაოს **კლიენტის** შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ადმინისტრაციულ სახდელდადებული ფიზიკური და იურიდიული პირებისა ან/და შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებების (ადმინისტრაციული სახდელების ან/და დაკისრებული ჯარიმებისა და დარიცხული საურავების) შესახებ მონაცემები, მათ შორის **ბანკის** მიმართ აქტიური საკრედიტო/სასესხო, გარესაბალანსო (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) ვალდებულებების მოქმედების პერიოდში;

21.11.16. გარდა ზემოაღნიშნულისა, კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებას. კლიენტის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე, საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე **პირობებით** ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისათვის, ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის ორგანიზაციებისგან მოიპოვოს ან/და მათ გადასცეს **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის და არამარტო პერსონალური მონაცემები, ანგარიშებზე ნაშთები ან/და დავალიანება, ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და სხვა):

(ა) **ბანკის** პარტნიორი კომპანიები, რომელთან ერთადაც **ბანკი** კომერციული კუთხით თანამშრომლობს და რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(ბ) **ბანკის** კონტრაქტორები ან/და კორპორატიული კლიენტები, რომლებიც იყენებენ **ბანკის** საგადახდო მომსახურებას საკუთარი კლიენტების (აბონენტების) გადასახდელების მისაღებად (ე.წ. ბილინგი);

(გ) საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)ი და სხვა ის **მესამე პირები,** რომლებიც **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (სწრაფი გადახდის აპარატი, ბანკომატი და ა.შ.) საბანკო/საგადახდო მომსახურების მიწოდებისთვის/გაწევისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებენ პირთა იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციას და რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(გ) საჯარო დაწესებულებები, როგორიცაა საზედამხედველო, დამოუკიდებელი, სასამართლო, საგამოძიებო და სხვა დაწესებულებები, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათ მიერ შექმნილი იურიდიული პირები

(დ) სხვა საჯარო დაწესებულებები, რომელთათვისაც მონაცემთა გაზიარება ემსახურება ანგარიშგებასთან, კანონის ან/და შესაბამის დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან, აუდიტის/მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული **ბანკის** მოვალეობების შესრულებას.

(ე) საკრედიტო საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც ახორციელებენ საკრედიტო ინფორმაციის შეგროვებას და ინდენტიფიცირებისათვის, ასევე საკრედიტო მონაცემთა შემოწმებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გაზიარებას.

(ვ) პრობლემური აქტივების მართვის კომპანიები ან/და კოლექტორული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პრობლემური მოთხოვნებიდან გამომდინარე გადახდების შესრულებას ან/და აღნიშნული პრობლემური მოთხოვნების შეძენას (ცესია);

(ზ) საერთაშორისო და ადგილობრივ საგადახდო მომსახურების ოპერატორები;

(თ) პროფესიონალი კონსულტანტები, როგორიცაა ფინანსური და იურიდიული მრჩევლები, აუდიტორული კომპანიები, რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

(ი) სადაზღვევო და საფოსტო კომპანიები, რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

(კ) დაკავშირებული მესამე პირები - **ბანკმა** შესაძლოა გააზიაროს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები **ბანკის** შიგნით, შვილობილ კომპანიებთან, აფილირებულ პირებთან და სხვა პარტნიორებთან იმ მოცულობით, რაც შეესაბამება დაკისრებული ამოცანის ტიპსა და ფარგლებს.

(ლ) მესამე პირები, რომლებსაც შესაძლებელია **ბანკმა** მიყიდოს, გადასცეს ან გააერთიანოს ბიზნესის ან აქტივების ნაწილი. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკის** ბიზნეს საქმიანობა შეიცვლება, ახალმა მფლობელებმა შესაძლოა გამოიყენონ **კლიენტის** შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემები იმავე სახით, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე **პირობებში.**

21.11.17. იმ შემთხვევაში თუ **ბანკი** განახორციელებს მონაცემების **მესამე პირებისთვის** გადაცემას, მათ შორის ინფორმაციის სხვა ქვეყნის რეზიდენტი პირ(ებ)ისთვის გადაცემას, აღნიშნული ქმედების შესრულებისას მიღებული იქნება უსაფრთხოების ყველა ის გონივრული ზომა, რაც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან.

21.11.18. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ წინამდებარე **პირობებში** მოცემული ჩამონათვალი არ არის სრული, ამომწურავი და დროდადრო **მესამე პირების** კატეგორიები შესაძლოა შეიცვალოს, თუმცა მიუხედავად ამისა მონაცემების დამუშავების კუთხით **ბანკის** ქმედებები შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

21.12. *პირდაპირი მარკეტინგი*.

21.12.1.**კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, **ბანკში** დაფიქსირებულ **კლიენტის** ტელეფონის ნომერზე/ნომრებზე, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საკონტაქტო მისამართ(ებ)ზე, **ბანკის** მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელდეს კომუნიკაცია, მათ შორის მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნის გზით (პირდაპირი მარკეტინგი).

21.12.2.**კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, სხვადასხვა მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით, **ბანკმა** გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს **ბანკის** ხელთ არსებული **კლიენტის** პერსონალური მონაცემები ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია **ბანკის** დაკავშირებულ/უფლებამოსილ პირ(ებ)ს, რომელიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა და უსაფრთხოება. ამასთან, **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს **ბანკს** ან/და დაკავშირებულ თუ უფლებამოსილ პირ(ებ)ს პირდაპირი მარკეტინგის შეწყვეტა, მხარეთა შორის შეთანხმებულ ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით.

21.12.3.ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და **კლიენტი** არ იქნება უფლებამოსილი **ბანკს** მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები **კლიენტს** მიეწოდება უშუალოდ **ბანკის** მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა) ან **ბანკის** კუთვნილ (ბანკთან ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში (მათ შორის ბანკომატი, ინტერნეტ ბანკი, მობილ **ბანკი** და სხვა).

21.12.4.**კლიენტისათვის** ცნობილია, რომ პირდაპირი მარკეტინგის ფარგლებში შეთავაზებების განხორციელების შეწყვეტის მოთხოვნის საფუძველზე შეწყდება მხოლოდ სარეკლამო ხასიათის კომუნიკაციები. **კლიენტთან** დაკავშირება მის **ბანკში** დაცული მონაცემების გამოყენებით გაგრძელდება **ბანკსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ ვალდებულებებთან დაკავშირებით (მათ

შორის კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კრედიტის ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების თაობაზე **კლიენტის** ინფორმირების მიზნით), ასევე **კლიენტის** განცხადებებსა თუ მოთხოვნებზე რეაგირების უზრუნველსაყოფად და სხვადასხვა ინფორმაციის მისაწოდებლად.

*21.20.* *ვიდეოთვალთვალი და აუდიო ჩაწერა.*

21.20.1. უსაფრთხოების, საკუთრებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, **ბანკში** მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე პერიმეტრისა და შესასვლელ(ებ)ის, სამუშაო ადგილ(ებ)ის მონიტორინგი ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩამწერი სისტემ(ებ)ის მეშვეობით, ასევე ვიდეოთვალთვალი ხორციელდება **ბანკომატის** ან სხვა ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით, ხოლო აუდიო ჩაწერა მიმდინარეობს **ბანკთან** სატელეფონო კომუნიკაციისას ან/და დისტანციური მომსახურების გაწევის მიზნებისთვის.

21.20.2. **ბანკის** მომსახურების წერტილებში, აგრეთვე **ბანკთან** კომუნიკაციისას ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩაწერის მიმდინარეობის შესახებ **კლიენტი** ინფორმირებული იქნება შესაბამისი ფორმით. **კლიენტი,** აცნობიერებს რა ვიდეოთვალთვალის და აუდიო ჩაწერის აუცილებლობას, თანხმობას გამოთქვამს აღნიშნული მონაცემების დამუშავებაზე.

*21.21.* *საავტორო უფლებები*. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ **ბანკის** ვებ-გვერდზე, ინტერნეტ ბანკში, მობილ ბანკში, მობილურ აპლიკაციებსა და სხვა ელექტრონულ არხებში განთავსებული **კლიენტის** მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება **კლიენტის** პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება **ბანკის** საკუთრებად და **ბანკი** აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მოიპოვებს მათზე საავტორო ქონებრივ უფლებებს.

*21.22.* *მონაცემების განახლება. დამუშავების და შენახვის ვადა.* თითოეული **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია.

*21.23.* **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, **ბანკის** მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის ამ თავით განსაზღვრული მიზნებით **დამუშავება** (მათ შორის მონაცემების სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი სხვა **მესამე პირებისთვის,** გადაცემა ან/და აღნიშნული მონაცემების მათგან მიღება) გაგრძელდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით.**

*21.24.* იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც **კლიენტის** მიერ **ბანკს** მიეწოდა ელექტრონული არხების (ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) საშუალებით, არ წყდება **კლიენტის** მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით.**

*21.25.* **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი** **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ ფარგლებში, მიაწვდის **კლიენტს** მის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით **ბანკში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულება გათვალისწინებულია **კანონმდებლობით.**

*21.26.* თუ **კლიენტი** თვლის, რომ **კლიენტის** შესახებ **ბანკში** არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ.

*21.27.* თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს **ბანკს** მის შესახებ **ბანკში** დაცული პერსონალური მონაცემების წაშლა.

## 22. დასკვნითი დებულებები

22.22. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში, მიაწოდოს **ბანკის** მიერვე მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

22.23. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

22.24. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირ(ებ)ს სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, **ბანკი** მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებს მესამე პირებისაგან მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

22.25. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მესამე პირებს დაუთმოს/გადასცეს **პირობებით** განსაზღვრული უფლებები ან/და მოვალეობები. ამასთან თუ **ბანკი** ისარგებლებს ან დააპირებს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული უფლებით სარგებლობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადასცეს **კლიენტის** ან/და **კლიენტის საბანკო ანგარიშის** შესახებ **კონფიდენციალური ინფორმაცია** მესამე პირებს.

22.26. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე,** მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

22.27. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით** **მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.

22.28. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთან **ბანკის** მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.

22.29. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამუქებული სიტყვები მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციაზე.

22.30. წინამდებარე **პირობებს** ენიჭება უპირატესი ძალა **მხარეთა** შორის აქამდე იგივე საგანზე გაფორმებულ ნებისმიერ შეთანხმებასა და ხელშეკრულებასთან შედარებით.

22.31. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის **პირობებიც** განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე: www.libertybank.ge. **ბანკის** სურვილის შემთხვევაში **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** და მის **პირობებს** უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებასთან** და მის **პირობებთან** მიმართებაში.

2018 წლის 1 იანვრიდან დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ კანონის თანახმად, ყველა ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.

**რა თანხა ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სააგენტოს მიერ?** – ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში კლიენტის ანგარიშებზე (მათ შორის უცხოური ვალუტით) არსებული თანხები დაჯამდება და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურებას დაექვემდებარება 15,000 ლარამდე თანხა, ხოლო თუ თანხა აღემატება 15,000 ლარს, დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

**როგორ ვისარგებლო დეპოზიტების დაზღვევით?** – კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე;

**კომერციულ ბანკში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების პირობები** – სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღე, მიუხედავად იმისა, მოცემულ მომენტში კომერციულ ბანკს გააჩნია თუ არა შესაბამისი სახსრები;

**ანაზღაურების ვალუტა** - ლარი.

სს „ლიბერთი ბანკი" წარმოადგენს ლიზენცირებულ ფინანსურ ინსტიტუტს და მოქმედებს 2010 წლის 31 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული #0110247 ლიცენზიის საფუძველზე;

სს „ლიბერთი ბანკის" სათავო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #74-ში 0162. დეტალური ინფორმაცია სს „ლიბერთი ბანკის" მომსახურების პირობების და მომსახურების ობიექტების შესახებ ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე http://libertybank.ge;

სს „ლიბერთი ბანკის" საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ გვერდზე - http://nbg.gov.ge;

საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი სს „ლიბერთი ბანკის" მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.

**სოციალური სარგოს მიმღები პირის საბანკო ანგარიშის მომსახურების პირობები**
**დანართი № 1 - მომსახურების ტარიფები**

**მომსახურების პირობები (ტარიფები)[1]**

| მომსახურების ტიპი | ტარიფი / პირობა |
|---|---|
| **1. ანგარიში და საბანკო ბარათი:** | |
| **1.1. ძირითადი პირობები** | |
| - სოციალური საბანკო ბარათის დამზადება | უფასო |
| - სოციალური ანგარიშის გახსნა და მომსახურება (ლარში) | უფასო |
| - ვადაგასული ბარათის ახალი ბარათით შეცვლა | უფასო |
| - ბარათის მოქმედების ვადა | ბარათი მოქმედია, მასზე მითითებული ბარათის მოქმედების ვადის გასვლის თარიღის ჩათვლით. |
| - დამატებითი ბარათ(ებ)ის დამზადება: | უფასო |
| **1.2. ბარათით სარგებლობის პირობები** | |
| - თანხის განაღდება **ლიბერთი ბანკის** ბანკომატებში | უფასო |
| - თანხის განაღდება **ლიბერთი ბანკის** სერვის ცენტრებში | უფასო |
| - თანხის განაღდება **ტერა ბანკის** ბანკომატებში | 0.50% მინ 0.50 ლარი |
| - თანხის განაღდება **თიბისი ბანკის** და **ბანკი ქართუს** ბანკომატებში | 0.50% მინ 0.50 ლარი |
| - თანხის განაღდება **ტერა ბანკის** სერვის ცენტრებში | 0.50% მინ 0.50 ლარი |
| - თანხის განაღდება სხვა ბანკის ბანკომატებში ან სერვის ცენტრებში | 2.00% მინ 6.00 ლარი |
| - ბარათით სარგებლობა სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში (მათ შორის თანხის განაღდება პოს-ტერმინალის მეშვეობით) | უფასო |
| **1.3. ბარათით სარგებლობის ლიმიტები** | |
| - ბანკომატებში თანხის განაღდების დღიური ლიმიტი | 1,000 ლარი |
| - კალენდარული დღის განმავლობაში ბანკომატის მეშვეობით ანგარიშზე თანხის შეტანის ლიმიტი | 30 000 ლარი (ეკვ. აშშ დოლარში) |
| - ბანკომატის თანხის მიმღებში ერჯერადად დასაშვები კუპიურების რაოდენობა | 300 კუპიურა |
| - ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში თანხის განაღდების დღიური ლიმიტი | ულიმიტო |
| - სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ბარათით ანგარიშსწორების (მათ შორის, პოს-ტერმინალის მეშვეობით თანხის განაღდების) ლიმიტი | 2,000 ლარი |
| - სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში პოს-ტერმინალზე თანხის განაღდების მინიმალური თანხა | 5 ლარი |
| - სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში პოს-ტერმინალზე თანხის ერთჯერადი განაღდების ოპერაციის მაქსიმალური თანხა | ტერმინალზე ერთჯერადი განაღდების ლიმიტს განსაზღვრავს მერჩანტი, ერთი ტრანზაქციის ფარგლებში არაუმეტეს 50 ლარის ოდენობით. |
| - წვდომის კოდის შეყვანის გარეშე, სოციალური ბარათით უკონტაქტო გადახდის ოპერაციისთვის განსაზღვრული ლიმიტი | შესაბამისი საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის წესებით განსაზღვრული ოდენობა. ამასთან, როგორც ლიბერთი ბანკი, ისე სხვა კომერციული ბანკები უფლებამოსილი არიან საკუთარ საგადამხდელო არხებში დაადგინონ განსხვავებული ლიმიტები, მაგრამ არაუმეტეს შესაბამისი საერთაშორისო საგადამხდელო სისტემებით განსაზღვრული ოდენობისა. |
| - ყოველდღიური ხარჯვის ლიმიტი **საბავშვო ბარათით** განხორციელებულ გადახდის ოპერაციებზე | 500 ლარი |
| - დასაშვები ვალუტა, რომლის განთავსებაც შესაძლებელია ბანკომატში, ანგარიშზე თანხის შეტანის მიზნით | ლარი / აშშ დოლარი |
| **1.4. სხვა საბარათო მომსახურება** | |
| - საქართველოში განთავსებულ ბანკომატში ნაშთის შემოწმების საკომისიო | უფასო |
| - საზღვარგარეთ განთავსებულ ბანკომატებში ნაშთის შემოწმების საკომისიო | 1.00 ლარი |
| - დაზიანებული ან დაკარგული ბარათის აღდგენა | უფასო |
| - ბარათის ლოკალურ სტოპ სიაში ჩასმა | უფასო |
| - ბარათის საერთაშორისო სტოპ სიაში ჩასმა | - |
| - ბარათის პინ-კოდის შეცვლა ლიბერთი ბანკის ბანკომატის საშუალებით | უფასო |
| - ბარათის პინ-კოდის მიღება ლიბერთი ბანკის ბანკომატის საშუალებით | უფასო |
| - ბარათის პინ-კოდის მიღება პინ-კონვერტის საშუალებით: | |
| • 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში | 2.00 ლარი |
| • 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში | უფასო |
| - ბარათის სასწრაფო დამზადების სერვისი[2] | უფასო |
| **1.5. სხვა საოპერაციო მომსახურება** | |
| - ყველა ტიპის ცნობის გაცემა ერთი სამუშაო დღის განმავლობაში (დავალიანების ცნობის გარდა) | 10.00 ლარი |
| - ცნობის გაცემა ბანკის წინაშე დავალიანების შესახებ (ერთი საბანკო დღის განმავლობაში) | უფასო |
| - ყველა ტიპის ცნობის გაცემა მეორე ან შემდგომ საბანკო დღეს | უფასო |
| - ამონაწერის მიღება | უფასო |

| | | |
|---|---|---|
| 2. | ავტომატური გადარიცხვების სერვისი[3] | |
| 2.1. | მომსახურების გააქტიურება და სარგებლობა | |
| - | ავტომატური გადარიცხვების მომსახურების გააქტიურება და სარგებლობა | უფასო |
| 2.2. | ავტომატური გადარიცხვების სერვისის გამოყენებით თანხის გადარიცხვა | |
| - | სოციალური გასაცემლის თანხის ფარგლებში | უფასო |
| - | სოციალური გასაცემლის გარდა ნებისმიერი სხვა თანხების ფარგლებში | გადარიცხული თანხის 0.07%, მინ 1.00 ლარი |
| 2.3. | გადარიცხვის ვალუტა | |
| - | ვალუტა | ლარი |
| 2.4. | გადასარიცხი თანხის ოფციები | |
| - | ოფცია 1 | წინასწარ განსაზღვრული თანხა |
| - | ოფცია 2 | სულ ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხა |
| 2.5. | გადარიცხვის სიხშირის ოფციები[5] | |
| - | ოფცია 1 | ერთჯერადად |
| - | ოფცია 2 | თვეში ერთხელ |
| 2.6. | ავტომატური გადარიცხვების სერვისის მოქმედების ვადა[4] | |
| - | მოქმედების ვადა | მინიმუმ 1 თვე / მაქსიმუმ 5 თვე |
| 2.7. | დამატებითი პირობები | |
| - | არასაკმარისი თანხის შემთხვევაში, თანხის გადარიცხვის მცდელობის ხანგრძლივობა | 10 კალენდარული დღის განმავლობაში |
| 2.8. | საქველმოქმედო გადარიცხვების შესრულება | |
| - | გადარიცხვა ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის ფონდ "ივერიისა"-ში | უფასო |
| 3. | მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისი (SMS ბანკი) | |
| 3.1. | მომსახურების გააქტიურება და სარგებლობა | |
| - | SMS ბანკის გააქტიურება და სარგებლობა | უფასო |
| 4. | ინტერნეტ ბანკინგი | |
| 4.1. | მომსახურების გააქტიურება და სარგებლობა | |
| - | ინტერნეტ ბანკინგის გააქტიურება და სარგებლობა | უფასო |
| 5. | სოციალური ავანსი ბანკომატის საშუალებით[5] | |
| 5.1. | სოციალური ავანსის ვადა | |
| - | სოციალური ავანსის ვადა | 1 (ერთი) ან 2 (ორი) თვე |
| 5.2. | გაცემის საკომისიო<br>*/ საკომისიოს გადახდა ხდება წინასწარ სოციალური ავანსის გაცემისთანავე /* | |
| - | 1 (ერთი) თვიანი სოციალური ავანსი (ავანსის მაქსიმალური მოცულობა - 300 ლარი) | ფიქსირებული 1.00 ლარი |
| - | 2 (ორი) თვიანი სოციალური ავანსი (ავანსის მაქსიმალური მოცულობა - 300 ლარი) | ფიქსირებული 2.00 ლარი |
| 5.3. | მომსახურების საკომისიო | |
| - | 1 (ერთი) თვიანი სოციალური ავანსი (ავანსის მაქსიმალური მოცულობა - 300 ლარი) | ავანსის თანხის 1.10% თვეში |
| - | 2 (ორი) თვიანი სოციალური ავანსი (ავანსის მაქსიმალური მოცულობა - 300 ლარი) | ავანსის თანხის 2.40% თვეში |
| 6. | სოციალური ავანსის თანხის ნაღდი სახით გატანის საკომისიო | |
| - | ლიბერთი ბანკის მომსახურების წერტილებში | 300 (სამასი) ლარზე ნაკლები ან ტოლი მოცულობის მქონე ავანსის შემთხვევაში:<br>ნაღდი სახით გატანილი სოციალური ავანსის თანხის 1.50% მინიმუმ 2.00 ლარი<br><br>300 (სამასი) ლარზე მეტი მოცულობის მქონე ავანსის შემთხვევაში:<br>ნაღდი სახით გატანილი სოციალური ავანსის თანხის 2.00% მინიმუმ 10.00 ლარი |
| - | ლიბერთი ბანკის ბანკომატებში | უფასო |
| 7. | ოვერდრაფტი | |
| - | საპროცენტო განაკვეთი: | წლიური 36.00% |
| - | მოქმედების ვადა: | 12 თვე,<br><br>**ბანკის** დისკრეციით ოვერდრაფტის მოქმედების ვადა შეიძლება დაპროლონგირდეს მორიგი 12 თვით. |
| - | **საკრედიტო ლიმიტის** მოცულობა: | ერთმაგიდან - 9-მაგ თვიური პენსიის მოცულობამდე<br><br>**საკრედიტო ლიმიტის** მოცულობა დგინდება ინდივიდუალურად ყოველი **კლიენტისათვის ბანკის** დისკრეციით |
| - | დამატებითი ფინანსური ხარჯები და პირგასამტეხლოები: | არ გაითვალისწინება |
| - | **ოვერდრაფტის** საკრედიტო ლიმიტის გაუქმება / დეაქტივაცია: | **ბანკის** დისკრეციით, მათ შორის **კლიენტისათვის** ყოველთვიური პენსიის არ ჩარიცხვის შემთხვევაში |
| - | **ოვერდრაფტის** ვადაზე ადრე დაფარვა: | **ოვერდრაფტის** ვადაზე ადრე დაფარვა შესაძლებელია ნებისმიერ დროს როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ. |

| | |
|---|---|
| | **ოვერდრაფტის** ვადაზე ადრე დაფარვა არ ითვალისწინებს **კლიენტზე** რაიმე სახის პირგასამტეხლოს დარიცხვას. |
| 8. კრედიტი | |
| - საპროცენტო განაკვეთი: | წლიური 36.00% |
| - მოქმედების ვადა: | 57 თვემდე<br><br>დამოკიდებულია **კლიენტის** პენსიის და **კრედიტის** მოცულობებზე |
| - მოცულობა: | ერთმაგიდან - 9-მაგ პენსიის მოცულობამდე<br><br>**კრედიტის** მოცულობა დგინდება ინდივიდუალურად ყოველი **კლიენტისათვის ბანკის** დისკრეციით |
| - **კრედიტის** დაფარვის გრაფიკი და ყოველთვიური შენატანის ოდენობა: | ყოველთვიური დაფარვის კლასიკური ანუიტეტის პირობა: ყოველთვიურად თანაბარი შენატანებით იფარება როგორც **კრედიტის** ძირითადი დავალიანება, ასევე **კრედიტზე** დარიცხული პროცენტი<br><br>**კრედიტის** თვიური შენატანი (დაფარვის თანხა) არ აღემატება **კრედიტის** გაცემის მომენტში **კლიენტის** ყოველთვიური პენსიის მესამედს |
| - დამატებითი ფინანსური ხარჯები და პირგასამტეხლოები: | არ გაითვალისწინება |
| - **კრედიტის** ვადაზე ადრე დაფარვა: | **კრედიტის** ვადაზე ადრე დაფარვა შესაძლებელია ნებისმიერ დროს როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ.<br><br>**კრედიტის** ვადაზე ადრე დაფარვა არ ითვალისწინებს **კლიენტზე** რაიმე სახის პირგასამტეხლოს დარიცხვას.<br><br>**კრედიტის** ვადაზე ადრე ნაწილობრივი დაფარვის შემთხვევაში **კრედიტის** შემდგომი ყოველთვიური შენატანის (დაფარვის) მოცულობა (მოიცავს **კრედიტის** ძირს და პროცენტს) განისაზღვრება **კლიენტის** მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ. |
| 9. ჩარიცხვამდე პენსიის მიღების მომსახურება | |
| - მომსახურების საკომისიო 45.00 ლარიდან 150.00 ლარის ჩათვლით **პენსია ჩარიცხვამდე მომსახურებით** სარგებლობისთვის: | მომსახურებით სარგებლობის ვადა მეტია ან ტოლია 7 დღის - 0.40 ლარი;<br><br>მომსახურებით სარგებლობის ვადა 1-დან 6 დღის ჩათვლით - 0.15 ლარი |
| - მომსახურების საკომისიო 150.01 ლარიდან 300.00 ლარის ჩათვლით **პენსია ჩარიცხვამდე მომსახურებით** სარგებლობისთვის: | მომსახურებით სარგებლობის ვადა მეტია ან ტოლია 7 დღის - 0.80 ლარი;<br><br>მომსახურებით სარგებლობის ვადა 1-დან 6 დღის ჩათვლით - 0.30 ლარი; |
| 10. 10. კომუნალური გადახდები (დენი, წყალი, დასუფთავება, გაზი)6 | |
| - კომუნალური გადახდები **შეღავათიანი აბონენტების** (ერთ პროვაიდერთან ერთი აბონენტი) სასარგებლოდ: | უფასო |
| - კომუნალური გადახდები სხვა აბონენტების (რომელიც არ წარმოადგენს **შეღავათიან აბონენტს**) სასარგებლოდ: | ბანკში მოქმედი სტანდარტული ტარიფების შესაბამისად[6]. |

[1] თუ მომსახურების პირობებში (ტარიფები) არ არის გათვალისწინებული „სოციალური სარგოს მიმღები პირის საბანკო ანგარიშის მომსახურების პირობებით" განსაზღვრული პროდუქტ(ებ)ის ან/და მომსახურების კონკრეტული საკომისიო – აღნიშნული საკომისიო გადახდა კლიენტს არ ეკისრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სოციალურ ანგარიშზე ოპერაციები ხორციელდება იმ ფულადი სახსრებით, რომლებიც თავისი დანიშნულებით არ წარმოადგენს სოციალურ გასაცემელს. ასეთი ოპერაციების მომსახურებისათვის გამოიყენება ლიბერთი (უნივერსალური) ანგარიშის მომსახურების პირობების შესაბამისი მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული ტარიფები.

[2] ბარათის სასწრაფოდ დამზადების სერვისი გულისხმობს კლიენტისთვის საბანკო ბარათის დამზადებას ქ. თბილისში - 1 (ერთი) საბანკო დღის განმავლობაში, ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

[3] ავტომატური გადარიცხვების სერვისის გამოყენებით გადარიცხვების წარმოება შესაძლებელია მხოლოდ სოციალური გასაცემლის მიმღები პირის პირად ანგარიშებზე როგორც ლიბერთი ბანკში, ისე საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ საბანკო დაწესებულებებში.

[4] ავტომატური გადარიცხვების სერვისის მოქმედების ვადა **ბანკში** სოციალური გასაცემლის მიმღების პირის სახელზე გახსნილ დაგროვებად ანაბარზე თანხის გადარიცხვის შემთხვევაში, შესაძლებელია შეადგენდეს მაქსიმუმ 11 თვეს (დაგროვებადი ანაბრის მოქმედების ვადის გათვალისწინებით).

[5] ბანკმა შესაძლებელია ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს სოციალური ავანსებით მომსახურების პირობები, შემოიღოს ახალი სახეობის სოციალური ავანს(ებ)ი ან/და გააუქმოს / დროებით შეაჩეროს არსებული სახეობის სოციალური ავანსებიდან ნებისმიერი.

დანართი №2 - პენსია ჩარიცხვამდე მომსახურებით სარგებლობის თარიღები

| პენსიის ჩარიცხვის თარიღი | პენსია ჩარიცხვამდე მომსახურებით სარგებლობის ხელმისაწვდომი პერიოდი |
|---|---|
| თვის 01 რიცხვი | 19 რიცხვიდან - 01 რიცხვამდე. |
| თვის 02 რიცხვი | 20 რიცხვიდან - 02 რიცხვამდე. |
| თვის 03 რიცხვი | 21 რიცხვიდან - 03 რიცხვამდე. |
| თვის 04 რიცხვი | 22 რიცხვიდან - 04 რიცხვამდე. |
| თვის 05 რიცხვი | 23 რიცხვიდან - 05 რიცხვამდე. |
| თვის 06 რიცხვი | 24 რიცხვიდან - 06 რიცხვამდე. |
| თვის 07 რიცხვი | 25 რიცხვიდან - 07 რიცხვამდე. |
| თვის 08 რიცხვი | 26 რიცხვიდან - 08 რიცხვამდე. |
| თვის 09 რიცხვი | 27 რიცხვიდან - 09 რიცხვამდე. |
| თვის 10 რიცხვი | 28 რიცხვიდან - 10 რიცხვამდე. |
| თვის 11 რიცხვი | 29 რიცხვიდან - 11 რიცხვამდე. |
| თვის 12 რიცხვი | 30 რიცხვიდან - 12 რიცხვამდე. |
| თვის 13 რიცხვი | 30 რიცხვიდან - 13 რიცხვამდე. |
| თვის 14 რიცხვი | 1 რიცხვიდან - 14 რიცხვამდე. |

## დანართი №3 - საგადახდო დავალების მიღების და შესრულების ვადები

- ქვემოთმოცემულ ცხრილში ასახულია დროის მონაკვეთები, როდესაც შესაძლებელია **ბანკში** საგადახდო **დავალების** მიღება, როგორც უშუალოდ **დავალების ბანკში** წარდგენით, ასევე **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხების მეშვეობით, აგრეთვე წარდგენილი საგადახდო **დავალების ბანკის** მიერ შესრულებისთვის განსაზღვრული მაქსიმალური დრო.
- წინამდებარე დანართის მიზნებისთვის, სამუშაო დღედ ითვლება კვირის დღეები, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა.
- არასამუშაო დღეებში ან/და წინამდებარე ცხრილით განსაზღვრული საათებისგან განსხვავებულ დროის შუალედში **ბანკისთვის** წარდგენილი დავალება, **ბანკის** მიერ მიღებულად ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღეს.

| საგადახდო დავალების ბანკისათვის მიწოდების ფორმა | საოპერაციო საათები, როდესაც ბანკის მომსახურების წერტილები ან/და დისტანციური არხები ფუნქციონირებს და ხელმისაწვდომია კლიენტისთვის | დროის შუალედი, როდესაც ბანკისთვის წარდგენილი საგადახდო დავალება ჩაითვლება ბანკის მიერ მიღებულად | ბანკის მიერ დავალების მიღებიდან მის შესრულებამდე საჭირო მაქსიმალური დრო საქართველოს ტერიტორიაზე |
|---|---|---|---|
| **ბანკის** მომსახურების წერტილებში (მათ შორის და არამარტო ფილიალი, სერვის-ცენტრი, წარმომადგენლობა) **კლიენტის** მიერ **დავალების** უშუალოდ წარდგენა (გარდა იმ მომსახურების წერტილებისა, სადაც **ბანკის** მიერ დაწესებულია 24 საათიანი სამუშაო გრაფიკი ან მომსახურების წერტილი მდებარეობს სპეციალურ ობიექტში (საბაჟო პუნქტი, აეროპორტი, იუსტიციის სახლი და სხვა)): | • ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე;<br>• შაბათ დღეს - 10.00 სთ-დან 14.30 სთ-მდე;<br><br>მომსახურების ცალკეულ წერტილებში შესაძლოა დადგენილი იყოს განსხვავებული სამუშაო დღეები და საათები, რის შესახებაც **კლიენტი** ინფორმირებული იქნება ინფორმაციის საჯაროდ გამოკვრის საშუალებით. | • ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე;<br><br>მომსახურების ცალკეულ წერტილებში შესაძლოა დადგენილი იყოს **დავალების** მიღებისთვის განსხვავებული სამუშაო დღეები და საათები, რის შესახებაც **კლიენტი** ინფორმირებული იქნება ინფორმაციის საჯაროდ გამოკვრის საშუალებით. | • თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღების დღეს.<br>• თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;<br>• თუ გადახდის **ოპერაციის** განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, **ბანკი** ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს **დავალება** შესასრულებლად **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. |
| **ბანკის** 24 საათიან სერვის ცენტრ(ებ)ში **კლიენტის** მიერ **დავალების** უშუალოდ წარდგენა: | ყოველდღე, უწყვეტად 24 საათიანი რეჟიმში | ყოველდღე - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე; | • თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღების დღეს.<br>• თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;<br>• თუ გადახდის **ოპერაციის** განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, **ბანკი** ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს **დავალება** შესასრულებლად **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. |
| **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხების (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, LB PAY აპარატი, USSD მენიუ, **ბანკომატით** განხორციელებული დავალებები, მათ შორის VISA Direct ან MasterCard MoneySend და სხვა) მეშვეობით წარდგენილი დავალება: | ყოველდღე, უწყვეტად 24 საათიანი რეჟიმში | ყოველდღე - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე; | • თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღების დღეს.<br>• თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, **დავალება** სრულდება **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;<br>• თუ გადახდის **ოპერაციის** განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, **ბანკი** ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს **დავალება** შესასრულებლად **დავალების** მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა. |